პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. ა. პ. (ბ) ცენტრალურ და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო.

ოთხშაბათი,
6
ნოემბერი
1935 წ.
№ 259 (4415)
ფასი 10 კაპ.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ფაშიზმი სპობს ბურჟუაზიული დემოკრატიის უკანასკნელ ნაშთებს. საბჭოთა ქვეყანაში ფართოდ ვითარდება პროლეტარული დემოკრატია.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრ. კ-ის ლოზუნგებიდან სსრ კ-ში დიდი პროლეტარული რევოლუციის მე-18 წლისთავისათვის.

ბიბლიოთეკა

საბჭოთა დემოკრატია

ლენინი ამბობდა: „საბჭოთა, ე. ი. პროლეტარული დემოკრატიზმის სოციალისტური ხასიათის, მის კონკრეტულ, ახლანდელ გამოყენებაში, მდგომარეობს იმაში, რომ ამომრჩევლებს წარმოადგენენ მშრომელები და ექსპლოატირებული მასები, ბურჟუაზია გამორიცხულია; მეორე იმაში, რომ არჩევნების ყოველგვარი დემოკრატიული ფორმალობა და შეზღუდვა უკუგდებულია, მასები თვითონ განსაზღვრავენ არჩევნების წესს და ვადებს. სრული თავისუფლებაა დაცული არჩეულთა უკან გამოძახების მხრივ; მესამე, იმაში, რომ იქმნება მშრომელთა ავანგარდის, მსხვილი სამრეწველო პროლეტარიატის საუკეთესო მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც საშუალებას აძლევს მას უხელმძღვანელოს ექსპლოატირებულთა უფართოეს მასებს, ჩააბას ისინი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ ამრიგად პირველად ხდება იმის ცდა, რათა **მთელი** მოსახლეობა მართლაც სწავლობდეს მართვას და იწყებდეს მართვასო“.

ოქტომბრის დიდი რევოლუციის პირველი დღეებიდან, როცა აქუხდნენ კაცობრიობის ისტორიაში პირველად ნამდვილად განთავისუფლებულ ადამიანთა ზარბაზნები, დაიწყო საბჭოთა დემოკრატიის ამ პრინციპების განხორციელება. მისი სათავეა „მშრომელ და ექსპლოატირებულ ხალხის უფლებათა დეკლარაცია“, 1918 წელს ლენინის ხელით დაწერილი და მიღებული. აქედან იწყება პროლეტარული დემოკრატიის, ხალხის ნამდვილი უმრავლესობის ნამდვილი დემოკრატიის ეპოქა.

სწრაფად გაირბინა წლებმა. ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალიზმმა. კაპიტალიზმი ისტორიას ჩაბარდა. ეკონომიკაში სოციალიზმის გამარჯვებამ გამოიწვია რადიკალური ცვლილებანი კლასთა ურთიერთობაში: მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას დღეს მშრომელები შეადგენენ. სამაგიეროდ, თითქმის არარაობამდე შემცირდა ექსპლოატატორული კლასების ნაშთები, მათი გავლენა და ხვედრითი წონა. პროლეტარიატმა თავისი დიქტატურა მტკიცედ გამოიყენა მოწინააღმდეგე კლასების საბოლოოდ განადგურებისათვის.

სოციალიზმის ქვეყანა იქცა მიუვალ ციხე-სიმაგრედ, 18 წლის სისხლჭარბ ჭაბუკად, რომელიც განუწყვეტლივ ანვითარებს ყველა მის ძვირფას თვისებებს, მათ შორის საბჭოთა დემოკრატიასაც.

ყველა მშრომელი ჩვენში თავს გრძნობს თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონად. და ყველა მშრომელი სარგებლობს თავისი წმინდათა-წმინდა უფლებით: აქტიური მონაწილეობა მიიღოს საკუთარ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, სურვილისამებრ, თავისი კლასობრივი ინტერესების მიხედვით აირჩიოს ვინც უნდა, და არჩეულ იქნას.

თანდათან უფრო ფართოდ და ღრმად იშლება საბჭოთა დემოკრატია. იგი ხდება უფრო სრულყოფილი და საყოველთაო, მთელი მოსახლეობის მშრომელებად გადაქცევასთან ერთად ამომრჩეველთა ფართო მასები აქტიურ მონაწილეობას იღებენ პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოების - საბჭოების მუშაობაში. ისინი არა მარტო ირჩევენ, არა მარტო ავალებენ და მიუთითებენ, არამედ ამოწმებენ კიდეც ამ მითითებათა შესრულებას, ამოწმებენ საბჭოების და თავიანთი დეპუტატების მუშაობას, უვარგისებს უკან იწვევენ.

მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი აქტივობის გაღვივება, სოციალისტურ ცხოვრებაში, სახელმწიფოებრივ მუშაობაში მათი აქტიურად ჩაბმა—აი პროლეტარული დემოკრატიის ძვირფასი თვისება. ეს თვისება მჟღავნდება ყველგან და ყველაფერში: იმაშიც, რომ ჩვენი სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოში —ცაკში—არჩეული არიან და მოღვაწეობენ რიგითი მუშები და კოლმეურნეები, წითელი მეომრები და მეცნიერები, გონებრივი და ფიზიკური შრომის მუშაკები, ხალხის გულიდან გამოსული ადამიანები; იმაშიც, რომ ჩვენი ამომრჩევლები ფართო კონტროლს უწევენ ყველა სახელმწიფო ორგანოს მუშაობას უმაღლესიდან ვიდრე დაბლესამდე; იმაშიც, რომ პროლეტარული დიქტატურის ორგანოების ამ მუშაობას აშინაარსიანებს, სიცოცხლეს ჰმატებს და ამდიდრებს მათი წინადადებანი, მითითებანი, მათი ინიციატივა.

ტფილისის საბჭოს ახლახან დამთავრებული საანგარიშო კამპანიაც ამის ცოცხალი ილუსტრაციაა: 100 ათასი ამომრჩევლიდან საანგარიშო კრებებს 95 პროცენტი დაესწრო. 25 უვარგისი დეპუტატი უკან გაიწვიეს. მათ ნაცვლად საუკეთესო დამკვრელები, საქმით დაინტერესებული მოწინავე ადამიანები აირჩიეს. 6 ათასი წინადადება შეიტანეს ამომრჩევლებმა ამ კრებებზე.

ამ დღეებში დაიწყება საბჭოების საანგარიშო კამპანია მთელ საქართველოში, უნდა გამოვიყენოთ ტფილისის მდიდარი გამოცდილება, ბოლშევიკურად შევაფასოთ თითეული დეპუტატის მუშაობა. საბჭოები —პროლეტარული დიქტატურის ორგანოებია, ამიტომ დიდი ღირსებაა საბჭოს წევრობა. ხოლო ის დეპუტატი, რომელიც თავისი უმოქმედობით ჩირქს სცხებს ამ ღირსებას, შეუძლებელია დარჩეს პროლეტარული დიქტატურის ორგანოში.

საბჭოების საანგარიშო კამპანიამ უნდა გამოავლინოს საბჭოების მუშაობის დადებითი და სუსტი მხარეები, დასახოს ნაკლოვანებათა სასწრაფოდ დაძლევის კონკრეტული ღონისძიებანი და უფრო ჩქარი ნაბიჯით გააქანოს წინ საკოლმეურნეო სოფელი.

საბჭოების მუშაობის ამგვარი მასობრივი შემოწმება—აი, ეს არის ნამდვილი დემოკრატია.

სიზმრადაც არ მოელანდებათ ასეთი რამ ბურჟუაზიულ ქვეყნებში. 1789 წელს, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს მიღებული „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“—ბურჟუაზიული დემოკრატიის ეს ქარტია, დღეს ქაღალდის უბრალო ნაგლეჯს წარმოადგენს. ფაშიზმი — აი რით დასრულდა ბურჟუაზიული დემოკრატიის სავალალო ისტორია. ხოლო ფაშიზმი— ეს არის ერთი მუჭა მსხვილი კაპიტალისტების და ბანკირების განუსაზღვრელი, აღვირახსნილი პოლიტიკური დიქტატურა. მშრომელთა მილიონების დასამონავებლად და გასანადგურებლად, რევოლუციური მუშათა კლასის და მისი ავანგარდის გასანადგურებლად. ფაშიზმი ნიშნავს ბურჟუაზიული დემოკრატიის უკუდო ნარჩენების ლიკვიდაციასაც, მშრომელი ადამიანისათვის ყოველგვარი უფლების მოსპობას, მშრომელთა სრულ უუფლებობას. ამიტომაც არის, რომ მაგალითად, პოლონეთის სეიმის უკანასკნელ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა მხოლოდ 37 პროცენტმა.

რა გასაკვირია, თუ ამ ფონზე მთელი მსოფლიოს მებრძოლი პროლეტარიატი აღტაცებით შესცქერის ჩვენი ბედნიერი ქვეყნის მუშებსა და გლეხებს და იბრძვის თავისი ოქტომბრისათვის.

გეგმა შესრულებულია

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს
ამხ. —ლ. ბერიას

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს
ამხ. — გ. მგალობლიშვილს

პარტიისა და მთავრობის დავალებისა და ამხ. ბერიას და მიქოიანის პირად მითითებათა განხორციელების საფუძველზე, საქართველოს საკონსერვო მრეწველობის მუშაკები დიადი ოქტომბრის თვრამეტი წლისთავს ხვდებიან შემდეგი მიღწევებით:

საკონსერვო ნაწარმის გამომუშავების წლიური გეგმა 5 ნოემბრისათვის შესრულებულია ნატურით 102 პროც. გამომუშავებულია 19.038.900 პირობ. ქილა კონსერვი იმ დროს, როცა გეგმით გათვალისწინებული იყო 18.665.000 პირობითი ქილა უცვლელ ფასებში გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით, ხილისა და ბოსტნეულის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 104,3 პროცენტით. გეგმით გათვალისწინებული 20.179 ტონის ნაცვლად დამზადებულია 21.053 ტონა. სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება 9 თვის განმავლობაში გეგმასთან შედარებით, შემცირებულია 2,9 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება, გეგმასთან შედარებით, 15,4 პროცენტით გადიდდა. დაგროვებათა წლიური გეგმა 5 ნოემბრისათვის შესრულებულია გადაჭარბებით. წინასწარი ცნობებით 10 თვის განმავლობაში მიღებულია დაგროვება 550.000 მანეთის რაოდენობით, წლიური გეგმით კი გათვალისწინებული იყო 506.000 მანეთი.

ვკისრულობთ წლის დამლევამდე: გეგმის გადამეტებით გამოვიმუშაოთ 3.000.000 ქილა კონსერვი; გეგმის ზევით დავამზადოთ 3.000 ტონა ხილი და გეგმის ზევით დავაგროვოთ დაახლოებით 1.000.000 მანეთი.

საქკონსერვხილტრესტის
მმართველი **მათითაიშვილი.**

ამხ. სტალინის ნაწარმოებნი 75 ენაზე

მოსკოვი, 4 ნოემბერი. ი. ბ. სტალინის წიგნი „ლენინიზმის საკითხები“ უკვე მეათე გამოცემად გამოდის. უკანასკნელ წელს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობამ მეათე გამოცემა გამოუშვა 2.685 ათასი ეგზემპლარად. 1926-დან 1934 წლამდე თანჩათვლით „ლენინიზმის საკითხები“ გამოვიდა 17 ენაზე. 6.080 ათ. საერთო ტირაჟით: ამათ შორის რუსულ ენაზე 4.450 ათასი ეგზემპლარი. ამგვარად, წიგნის საერთო ტირაჟი ამ წლებში 8.340 ათას ეგზემპლარს შეადგენს (რუსულ ენაზე 6.710 ათას ეგზემპლარს).

მთელ ქვეყნიერებაზე გაუგონარი ტირაჟით არის აგრეთვე გამოცემული „საანგარიშო მოხსენება პარტიის მე-17 ყრილობაზე საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ტის მუშაობის შესახებ“ — 14.316 ათას ეგზემპლარად 50 ენაზე; „ახალი ვითარება — სამეურნეო მშენებლობის ახალი ამოცანები“ — 12.022 ათას ეგზემპლარად 39 ენაზე; „ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში საკ. კ. პ. (ბ) მე-16 ყრილობაზე“ — 11.355 ათას ეგზემპლარად 24 ენაზე; „თავბრუხვევა წარმატებებისგან“ — 10.892.000 ეგზემპლარად—21 ენაზე; „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“— 8.999 ათას ეგზემპლარად—26 ენაზე; „სიტყვა, წარმოთქმული დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ საკავშირო ყრილობაზე“ — 8.284 ათას ეგზემპლარად — 36 ენაზე; „პირველი ხუთწლედის შედეგი“ 5.769 ათას ეგზემპლარად — 39 ენაზე და სხვა.

ამხ. სტალინის ყველა ნაწარმოები 15 წლის განმავლობაში გამოცემულია 160 სახელწოდებით სსრ კავშირის ხალხთა 75 ენაზე 115.940 ათასი ეგზემპლარ საერთო ტირაჟით.



ლენინი სმოლნში ოქტომბრის პირველ დღეებში

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობა

მოსკოვი, 4 ნოემბერი. გროდეკოვის რაიონში № 19 და № 20 სასაზღვრო ნიშნებს შუა იაპონია-მანჯურიის შეიარაღებული რაზმების მიერ 6, 8 და 12 ოქტომბერს საბჭ. საზღვრის დარღვევის გამო (იხ. საკ. დეპ. სააგ. ცნობა ა. წ. 13 ოქტომბრის თარიღით) სსრკ სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ტოკიოში ამხ. იურენევმა საგარეო საქმეთა მინისტრს ბ. ხიროტას გადასცა საპროტესტო ნოტა 12 და 14 ოქტომბრის თარიღით.

25 ოქტომბერს ბ. ხიროტამ ამხ. იურენევს ჩააბარა იაპონიის მთავრობის პასუხი ამ ნოტებზე შემდეგი მემორანდუმის სახით.

ბ-ნ ხიროტას მემორანდუმი

1. თქვენი 12 და 14 ოქტომბრის ნოტების გამო ჩვენ ვაწარმოეთ მოკვლევა და გამოირკვა, რომ 6 ოქტომბრის ინციდენტი ყოფილა შეტაკება მანჯოუგოს სანაპირო რაზმის დარაჯებსა და სსრ კავშირის ცხენოსან რაზმს შორის. ამის გამო 7 ოქტომბერს სი-ფუნ-ხეში მანჯოუგოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აგენტმა პროტესტი განუცხადა სსრ კავშირის ადგილობრივ კონსულს, ხოლო 9 ოქტომბერს იმავე სამინისტროს რწმუნებულმა ხარბინში საბჭოთა ადგილობრივ გენერ. კონსულს. ეს ინციდენტი სავსებით მანჯოუ-გოსა და საბჭოთა კავშირის საკითხია და მის პასუხს არ უნდა მოველოდით საიმპერატორო მთავრობისაგან. 12 ოქტომბრის ინციდენტი გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებით. იაპონია-მანჯოუ-გოს რაზმი მანჯოუ-გოს სამხედრო ხელისუფალთა წინამძღოლობით მიემგზავრებოდა 6 ოქტომბრის შემთხვევის ადგილისაკენ და ჰქონდა ერთადერთი მიზანი—საქმის გამოკვლევა. ამ რაზმს უეცრად ყოველი მხრიდან თავს დაესხა ძლიერი საბჭოთა რაზმი, რის შედეგადაც იაპონია-მანჯოუ-გოს რაზმს მოუკლეს 6 კაცი (ერთი იაპონიის ჟანდარმერიის უმცროსი უნტერ-ოფიცერი, ერთიც იაპონელი, მისი მხლებელი, და 4 მანჯოუგოს ჯარისკაცი) და დაუჭრეს 4 კაცი (მანჯოუგოს ჯარისკაცები). ამის გამო 13 ოქტომბერს სი-ფუნ-ხეში მანჯოუგოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ადგილობრივმა აგენტმა პროტესტი განუცხადა საბჭოთა კონსულს, ხოლო 19 ოქტომბერს იაპონიის ადგილობრივმა კონსულმაც. საიმპერატორო მთავრობა 12 ოქტომბრის ამბით დაინტერესებულია რამდენადაც დაზარალებულთა შორის არიან, როგორც ზემოდ არის აღნიშნული, იაპონიის ჟანდარმერიის უმცროსი უნტერ-ოფიცერი და მისი მხლებელი იაპონელი. საიმპერატორო მთავრობა გიცხადებთ პროტესტს, ვინაიდან მას უკანონოდ მიაჩნია საბჭოთა რაზმის მიერ გაუფრთხილებლად თავს დასხმა, ალყის შემორტყმა და სროლის ატეხა იაპონია-მანჯოუ-გოს რაზმისთვის, რომელსაც არავითარი მტრული განზრახვა არ ჰქონია საბჭოთა ქვეყნისადმი, მიდიოდა 6 ოქტომბრის ინციდენტის ადგილისაკენ. რათა მშვიდობიანი კვლევა-ძიება მოეხდინა. ვინაიდან 12 ოქტომბრის ინციდენტი არის შეტაკება საბჭოთა მხარისა და უმთავრესად მანჯოუგოსთაგან შემდგარ რაზმს შორის, რომელიც მიდიოდა 6 ოქტომბრის შემთხვევის გამოსაკვლევად, აგრეთვე იმიტომაც, რომ ამ ამბავთან უმთავრესად მანჯოუგოს სამხედრო ხელისუფალთ ჰქონდათ დამოკიდებულება, საბჭოთა მხარის ამ საკითხის თაობაზე უშუალოდ უნდა მიემართა მანჯოუგოს მხარისთვის ადგილზე, მაგალითად ხარბინში.

2. ძნელი აღსანიშნავია მანჯოუგოსა და საბჭოთა კავშირს შორის ან იაპონია-საბჭოთა კავშირს შორის მომხდარი კონფლიქტები, როგორიცაა ახლანდელი ამბები, 3 ივლისის ინციდენტი და მანჯოუგოს საზღვრებთან გახშირებული სხვა შემთხვევები საბჭოთა ხელისუფლების მიერ კორეელთა 1 მანჯურელის წაყვანისა. ნათქვამის მიზეზი უმთავრესად არის საბჭოთა კავშირსა და მანჯოუგოს შორის საზღვრების გაურკვევლობა. ამიტომ საჭიროა სასწრაფოდ დაარსდეს ორგანო საზღვარის დამდგენ კომისიასავით, საზღვრების დასაზუსტებლად, და უპირველეს ყოვლისა აუცილებელია საზღვრის ხაზის დასაზუსტებლად ზომების მიღება ტბა ხანკას რაიონში მდინარე ტუმენამდე, სადაც ყველაზე ადვილია კონფლიქტის წამოჭრა. საზღვრის ხაზის ასეთი დაზუსტება გაადვილებს წინანდელი კონფლიქტების მოგვარებას და ხელს შეუწყობს მათ მოსპობას მომავალში.

ა. წ. 4 ნოემბერს ამხ. იურენევმა ბ. ხიროტას შემდეგი ნოტა გაუგზავნა“.

ამხ. იურენევის ნოტა

ბატონო მინისტრო, თქვენი 25 ოქტომბრის მემორანდუმის საპასუხოდ, მაქვს პატივი, სსრ კავშირის მთავრობის დავალებით, გაუწყოთ შემდეგი:

1. თქვენს მემორანდუმში მოხსენიებული განცხადება საბჭოთა მოსაზღვრე საგუშაგოების მოქმედების უკანონობის შესახებ 6 და 12 ოქტომბრის შეტაკების დროს სრულიად დაუსაბუთებელია და უარყოფილ უნდა იყოს საბჭოთა მთავრობის მიერ როგორც უკვე მოხსენიებული იყო ჩემს 12 და 14 ოქტომბრის ნოტებში, ორივე ეს შეტაკება მოხდა საბჭოთა ტერიტორიაზე და გამოწვეული იყო იმით, რომ ამ ტერიტორიაზე შემოიჭრნენ იაპონია-მანჯურიის შეიარაღებული რაზმები და თავს დაესხნენ საბჭოთა საგუშაგოებს. ის ფაქტი, რომ ეს ინციდენტები საბჭოთა ტერიტორიაზე მოხდა, სხვათა შორის, არ არის უარყოფილი არც თქვენს 25 ოქტომბრის მემორანდუმში. თქვენი მითითება, რომ 12 ოქტომბერს იაპონია-მანჯურიის შეიარაღებული რაზმი შეტაკების ადგილას აღმოჩნდა „ერთადერთი მიზნით რათა საქმე გამოეკვლიე“, აგრეთვე უარყოფილ იქნას თუნდაც იმიტომ, რომ იაპონია-მანჯურიის რაზმებს, თავისთავად ცხადია, არ შეუძლიათ ჰქონდეთ უფლება აწარმოონ საბჭოთა ტერიტორიაზე რაიმე კვლევა-გამოძიება. არც ის არის მართალი, თითქოს საბჭოთა მოსაზღვრე საგუშაგოებს იაპონია-მანჯურიის რაზმისათვის სროლა აეტეხოთ „გაუფრთხილებლად“. ნამდვილად, საბჭოთა პირველმა საგუშაგომ, რომელიც 2 ცხენოსანი მესაზღვრისგან შესდგებოდა, გააფრთხილა საბჭოთა ტერიტორიაზე შეჭრილი იაპონია-მანჯურიის რაზმი, მაგრამ ამ უკანასკნელმა, წასვლის ნაცვლად, სროლა აუტეხა საბჭოთა მესაზღვრეებს, რის დროსაც მოჰკლეს მესაზღვრე კოტელნიკოვი და დასჭრეს ორი სხვა მესაზღვრე. არავითარ ეჭვს არ იწვევენ, რომ შექმნილ პირობებში საბჭოთა მოსაზღვრე საგუშაგოებს არა მარტო უფლება ჰქონდათ, არამედ სამსახურის წესდებით ვალდებულნიც იყვნენ იარაღი ეხმარათ საბჭოთა ტერიტორიაზე შემოჭრილი იაპონია-მანჯურიის შეიარაღებული რაზმის წინააღმდეგ, რომელიც მათ თავს დაესხა.

ამ გარემოებათა გამო, თქვენ მიერ საბჭოთა მოსაზღვრე საგუშაგოს მოქმედების წინააღმდეგ კონტრპროტესტის წარმოდგენა სრულებით უსაფუძვლოა.

2. საბჭოთა მთავრობას თუმცა თავიდანვე უეჭველ მიაჩნდა, რომ დამნაშავე იყო იაპონია-მანჯურიის მხარე, მაგრამ, ვინაიდან სურდა ამაში იაპონიის მთავრობაც დაერწმუნებინა, მიმართა ამ უკანასკნელს წინადადებით ორივე მხარეს დაუყოვნებლივ დაენიშნა რწმუნებულები, რომელნიც ადგილობრივ გამოიკვლევდნენ ამ ინციდენტს შერეულ კომისიაში.

საბჭოთა მთავრობა იძულებულია მწუხარებით აღნიშნოს, რომ იაპონიის მთავრობა შესაძლოდ სცნობს თავი აარიდოს შერეულ კომისიაში ინციდენტის გამოკვლევას, მიუხედავად იმისა, რომ აშკარაა ეს საშუალება ჭეშმარიტების მიღწევის გამორკვევის ყველაზე მეტ გარანტიას იძლევა.

3. სსრ კავშირის მთავრობამ ამ შემთხვევის გამო დამავალა მოგაგონოთ, ბატონო მინისტრო, რომ იაპონიის მთავრობას აქამდე არ მოუცია პასუხი ჩემ მიერ 17 აგვისტოს თქვენთვის ჩაბარებულ კონვენციის პროექტზე საბჭოთა კავშირისა და მანჯურიის საზღვარზე საზღვრის დამდგენი შერეული კომიტეტების დაარსების შესახებ. ეს წინადადება კი იძლევა მეტად რეალურ საშუალებას ისეთი სასაზღვრო კონფლიქტების სასწრაფოდ გარჩევისთვის, როგორიც არის 12 ოქტომბრის შეტაკება, და ამგვარად წარმოადგენს სერიოზულ გარანტიას სასაზღვრო ინციდენტების გამეორების წინააღმდეგ, რომელნიც არღვევენ სიწყნარესა და მშვიდობიანობას ჩვენს საზღვრებზე.

4. მაგრამ ამ მრავალი კონფლიქტის მიზეზი სულაც არ არის „მანჯოუგოსა და სსრ კავშირს შორის საზღვრების გაურკვევლობა“, როგორც თქვენ ამტკიცებთ თქვენს 25 ოქტომბრის მემორანდუმში. სსრ კავშირისა და მანჯოუ-გოს საზღვრები გარკვევით არის განსაზღვრული მთელი რიგი ხელშეკრულებებით, რომელნიც თავის დროზე დაიდო რუსეთსა და ჩინეთს შორის, და მათთან დართული რუკებით. ამ ხელშეკრულებათა თავისთვის სავალდებულოდ მიღება მანჯოუ-გოს მთავრობის მიერ აღიარებულია მისი დაარსების დროს. ამ ხელშეკრულებებით დაწესებულ საზღვრებს ამგვარად არ შეუძლიათ რაიმე ეჭვის გამოწვევა. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ მანჯურიაში იაპონიის არმიის მისვლამდე ინციდენტები საზღვარზე და ახლანდელის მსგავსი კონფლიქტები მანჯურიის ხელისუფლებასთან არ ხდებოდა.

5. დასასრულ საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია არ გამოთქვას თავისი განცვიფრება იმის გამო, რომ იაპონიის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ამ ინციდენტის გამო მიუთითოს მას მანჯოუ-გოს მთავრობაზე.

საბჭოთა მთავრობას უკვე არაერთხელ ჰქონია შემთხვევა მიექცია იაპონიის მთავრობის ყურადღება იმისთვის, რომ რამდენადაც მანჯურიის სამხედრო დაცვას იაპონია აწარმოებს და იაპონიის კვანტუნის არმია მანჯოუ-გოში ხელმძღვანელ როლს ასრულებს, იაპონიის მთავრობას არ შეუძლია თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა იაპონია-მანჯურიის ხელისუფალთა მოქმედებისათვის სსრ კავშირის მიმართ, ამასთანავე სრულიად ნათელია, რომ საბჭოთა კავშირისა და მანჯოუგოს საზღვრებზე ყოველგვარი დავის შესაძლო შედეგებს არ შეუძლიათ არ ჰქონდეთ უშუალო გავლენა იაპონიისა და სსრ კავშირის ურთიერთობაზე. ამას ამ შემთხვევაში ემატება ისიც, რომ, როგორც თქვენ თვითონ აღნიშნავთ თქვენს ნოტაში, შეტაკებაში მონაწილეობას იღებდა იაპონია-მანჯურიის რაზმი, რომელშიც იყვნენ იაპონელი ჯარისკაცები. მარტო აქედანაც აშკარაა, რომ იაპონია ამ ინციდენტში არის მხარე, ეს, სხვათა შორის, გამომდინარეობს იქიდანაც, რომ თქვენ საჭიროდ დაინახეთ თქვენს მემორანდუმში გაგვიცხადებინათ პროტესტი ამ ინციდენტთან დაკავშირებით იმის გამო, ვითომც საბჭოთა მესაზღვრე რაზმს უკანონოდ აეტეხოს სროლა იაპონია-მანჯურიის რაზმისათვის.

ზემოთქმულის გამო, საბჭოთა მთავრობას პატივი აქვს განაცხადოს, რომ ის მთლიანად იცავს ჩემ მიერ 14 ოქტომბერს მისი სახელით განცხადებულ პროტესტს.

მიიღეთ და სხვა.

სრულუფლებიანი წარმომადგენელი კ. იურენევი.

სანქციების ეკონომიური კვეკომიტეტის სხდომა

ჟენევა, 4 ნოემბერი. ჟენევაში ამჟამად ამუშავებენ მთელ რიგ პრაქტიკულ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია იტალიის წინააღმდეგ ეკონომიური სანქციების გატარებასთან. ეკონომიური ქვეკომიტეტი, რომლის სხდომაც დღის დილით მიმდინარეობდა, არკვევდა კლირინგულ შეთანხმებებს, მიმდინარე ნაწილობრივ განაღდებულ კონტრაქტებს და ტრანზიტის საკითხებს.

ეკონომიური ქვეკომიტეტის დილის სხდომაზე იდგა აგრეთვე კანადის წინადადება იტალიაში ქვანახშირის, ნავთის, რკინისა და ფოლადის შეტანის აკრძალვის შესახებ. ამ წინადადებას პირობითი ხასიათი აქვს, ვინაიდან მისი პრაქტიკული განხორციელება დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, ზოგიერთი ქვეყნის — ლიგის არაწევრების მოქმედებაზე, რომელთაც აღნიშნული პროდუქტების დიდი მარაგი მოეპოვებათ. ამიტომ შესაძლოა, რომ სანქციების კომიტეტი ამ სახელმწიფოებს სათანადო შეკითხვით მიმართავს. რაც შეეხება ქვანახშირსა და ნავთს, აქ ესათუის გადაწყვეტილება დამოკიდებულია გერმანიაზე (ქვანახშირის მხრივ) და ამერიკის შეერთებულ შტატებზე (ნავთის მხრივ).

ხმაურის ნაცვლად ცოცხალი საქმე!

სტახანოვური მოძრაობა მტკიცედ იკიდებს ფეხს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მრავლად გამოჩნდნენ ღირსშესანიშნავი ადამიანები, რომლებიც სასწაულებრივ ამბებს ახდენენ წარმოებებში.

300—400 პროცენტით გეგმის შესრულება, ნაცვლად 100 პროცენტისა — აი სტახანოველების გმირობისა და ენტუზიაზმის დამახასიათებელი მაჩვენებლები. ამ მოძრაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი დიადი სოციალისტური ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღორძინებისა და აყვავებისათვის.

რაშია სტახანოვური მოძრაობის დედააზრი, მისი ღირსება და „საიდუმლოება“?

მოწინავე ტექნიკით შეიარაღებულს საბჭოთა ქვეყანას, ჯერ კიდევ არ ამოუწურავს ამ ტექნიკის უმაღლესი ნაყოფიერებით გამოყენების შესაძლებლობანი. ადამიანები ჯერ კიდევ ბევრგან საკმაოდ არ დაუფლებიან მას, რომ ამით უდიდესი ნაყოფიერება იგემოს ჩვენმა ქვეყანამ.

თუ რას წარმოადგენს განსაკუთრებული ოსტატობით ტექნიკას დაუფლებული ადამიანი, ამას გვიჩვენებენ დონბასის მუშა ალექსი სტახანოვი, ვინოგრადოვები, ბუსიგინი, მარიამ დემჩენკო და სოციალისტური შრომის სხვა გმირები. სტახანოველებმა გამოიმუშავეს ჩვენი ქვეყნის ტექნიკის მოხმარებისა, ტექნიკის უდიდესი ოსტატობით გამოყენების ყველაზე უფრო გაუმჯობესებული მეთოდი.

მაშასადამე, არა მარტო ხალისი, ენტუზიაზმი, გმირობა, თავდადება, რაც დამკვრელებს ახასიათებს, არამედ განსაკუთრებული ოსტატობით ტექნიკის მოხმარება, გამოყენება, რაც არაჩვეულებრივად ზრდის შრომის ნაყოფიერებას და უკან სტოვებს დამკვრელობით მიღწეულ პროდუქციის გამომუშავების არსებულ ნორმებს. ამაშია სტახანოვური მოძრაობის „საიდუმლოება“, ამაშია მისი ღირსება.

აქედან ცხადია, რომ ყოველგვარი ცდა სტახანოველად გახდომისა, სტახანოვური მუშაობის მეთოდისა და ოსტატობის მამაცურად დაუფლების გარეშე, იქცევა უბრალო ხმაურად, გაუმართლებელ ზერელობად, ცარიელ ლაყბობად და თავის მოტყუებად.

სტახანოვური მოძრაობის გაყალბების მრავალი ფაქტია მხილებული გაზეთ „პრავდის“ 24 და 26 ოქტომბრის ნომრებში; მაგალითად, სტალინგრადის კუიბიშევის სახელობის სატყეო კომბინატში ყველა მუშა, რომლებიც 10—15 პროც. გადაჭარბებით ასრულებდნენ გეგმებს, სტახანოველებად მიიჩნიეს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სტახანოვის მეთოდით არ მუშაობდნენ. ასეთი ზერელეობის საფრთხე უთუოდ არის და ის თავიდან უნდა ავიცდინოთ.

ყველაზე უფრო უხეში შეცდომა და ზერელეობა გაზეთ „ზა კომუნისტიჩესკოე პროსვეშჩენიე“ და „სოვეტსკოე ისკუსტვომ“ დაუშვეს. მათ სცადეს სტახანოვური მეთოდის გადმონერგვა — პირველმა სწავლების საქმეში, ხოლო უკანასკნელმა თეატრალურ მუშაობაში. სტახანოვური მოძრაობის ასე ყალბათ გაგებამ და მექანიკურად გადმონერგვამ ის გამოიწვია, რომ ცალკე სკოლები და თეატრები ამ მოძრაობაში ჩაბმას უბრალო ხმაურით გამოხატავენ.

სტახანოვური მუშაობის მეთოდის ასეთივე მექანიკური გადმონერგვა სცადა ტფილისის ზოგიერთმა სკოლამ. მათ ზერელე დაპირებები მოგვცეს და არა სწავლების საქმის ახლებურად გარდაქმნა.

სტახანოვური მუშაობის მეთოდის გადმონერგვა ნიშნავს არა უბრალო და ზერელე დაპირებას, არამედ სწავლების საქმის ისეთ ორგანიზაციასა და მოწყობას, სწავლების ისეთი მეთოდებისა და ხერხების გამონახვას, რომლებითაც მოსწავლეობას უფრო მოკლე დროში ნაყოფიერად და კრიტიკულად შევათვისებინებთ ცოდნის მეტ მარაგს და გავზრდით მათ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად.

უნდა გვახსოვდეს: ყოველი სტახანოველი დამკვრელია და ფრიადოსანი, მაგრამ არა ყოველი დამკვრელი და ფრიადოსანია სტახანოველი! კარგად უნდა გავერკვეთ ამაში.

რამის კულტურა აღმავლობის გზით

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კ-ის მდივანს ამხ. **ბერიას.**
სსრ კავშირის მიწადმოქმედების სახალხო კომისარს
ამხ. **ჩერნოვს.**

საკავშირო ტრესტ „საქართველოს რამის“ მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა და საინჟინერო-ტექნიკურმა პერსონალმა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით და თქვენი პირადი დახმარებით სერიოზულ წარმატებებს მიაღწია რამის კულტურის ათვისებისა და განვითარების საქმეში.

ოქტომბრის 18 წლისთავზე საკავშირო ტრესტ „საქართველოს რამს“ აქვს მუშაობის შემდეგი მაჩვენებლები:

208,03 ჰექტარ ძველ სრულფასიან პლანტაციებს ერთ ჰექტარზე საშუალოდ აქვთ 25.000 ბუჩქი, წინა წლებში კი გვქონდა 8.000 ბუჩქი. 1935 წელს გაშენებულია 383 ჰექტარი ახალი პლანტაცია, რომლებიც მატულობენ 70 პროცენტს, იმ დროს, როცა წინა წლებში ისინი 30 პროცენტს მატულობდნენ. კოლმეურნეობებში მიმდინარე წელს პირველად შეიქმნა სანერგე მეურნეობა, გვაქვს 21 მილიონი ნერგი 1936 წლის გაზაფხულზე დასარგავად. წელს შემოღებულ იქნა მოსავლის მე-3 სამრეწველო აღება.

თუ წარსულ წლებში მოსავლიანობა 1 ჰექტარზე 2,6 ტონას უდრიდა, ახლა იგი აყვანილია საშუალოდ 9 ტონამდე. ლაფანის გამოსავალი მწვანე დეკორტიკაციიდან აყვანილია საშუალოდ 2,3 პროცენტამდე ერთი ტონა ნედლეულიდან, ნაცვლად წარსული წლების 1,7 პროცენტისა. 1935 წელს 3-ჯერ გათიბული ღეროების საერთო პროდუქცია შეადგენს 2.043 ტონას, გეგმით კი გათვალისწინებული იყო 1.500 ტონა, ე. ი. 136 პროც. წელს გეგმით გათვალისწინებულ 30 ტონის ნაცვლად მიღებულია 42 ტონა ლაფანი და ძენძი, ამას გარდა მშრალი დეკორტიკაციისაგან კიდევ დამატებით უნდა მივიღოთ 4,0 ტონა.

კოლექტივი პირობას გაძლევთ, რომ შეინარჩუნებს ამ წარმატებებს და უფრო ფართოდ გააჩაღებს ბრძოლას რამის კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

საკავშირო ტრესტ „საქართველოს რამის“ დირექტორი
ე. ლვამიჩავა.

ჩაისა და ციტრუსების სტახანოველთა შეკრება

ჩაქვი რამდენიმე დღით ადრე ემზადებოდა საპატიო სტუმრების შესახვედრად. ემზადებოდა არა მარტო ლოზუნგებით, პლაკატებითა და გირლანდებით, არამედ ნამდვილი საქმითაც. ადგილობრივი პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები მუშათა საერთო კრებებზე, ცალკე რაიონებში და ბრიგადებში ატარებდნენ საუბრებს, აცნობდნენ სტახანოვ - ბუსიგინის შრომის მეთოდებს, სწავლობდნენ ცალკე სტახანოველებს და ზრუნავდნენ მათი კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

3 ნოემბერს მოვიდნენ ისინი ავტომობილებითა და მატარებლებით ოჩხამურიდან, ცეცხლაურიდან, მუხაესტატედან, კვირიკედან, ჯიხანჯურიდან, მახინჯაურიდან, ახალშენიდან, სალიბაურიდან... მოვიდნენ აჭარისტანის ჩაისა და ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობების მოწინავე დამკვრელები, სუბტროპიკებისათვის თავდადებული მებრძოლები, შრომის სტახანოვური მეთოდებით შეიარაღებულნი. მოვიდნენ იმისათვის, რომ „ერთიმეორეს გაუზიარონ თავიანთი გამოცდილებები და საერთო ძალღონით იბრძოლონ ჩაის დამოუკიდებლობისათვის. იმისათვის, რომ საბჭოთა ქვეყანას მისცენ მეტი მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, გერანი, ტუნგო...

მუშათა კლუბში, სადაც შეკრება უნდა ჩატარებულიყო, ჩაქველ ამხანაგებს მოეწყვიათ სტახანოველთა კუთხე, გამოეშვიათ სპეციალური კედლის გაზეთები მოწინავე დამკვრელთა ფოტოსურათებით.

დარბაზიც საზეიმოთ მოერთოთ!.

120 სტახანოველი დაესწრო შეკრებას. ბევრმა მათგანმა დაწვრილებით უამბო ამხანაგებს, თუ როგორ ახერხებენ ისინი ნორმების გადაჭარბებას. აი, მაგალითად, პირველ საბჭოთა მეურნეობაში ამხ. **ჭანიშვილის** ბრიგადამ გეგმასთან შედარებით წელს 46 პროცენტით გაადიდა ჩაის მოსავლიანობა. მთელ ბრიგადას, რომელიც 18 მუშას აერთიანებს, შრომა სტახანოვისებურად აქვთ მოწყობილ.

გონიოს საბჭოთა მეურნეობის მუშა **აპოლონ გიგინეიშვილი** ციტრუსოვანთა პლანტაციებში სასუქის შეტანის ნორმას 7-ჯერ გადაჭარბებით ასრულებს, ფორთოხლის კრეფის ნორმას ორნახევარჯერ, თოხნისას ორჯერ. ბუქნარის ტუნგოს სანერგეს მუშა - ქალებმა **ნასტია ვადალასკაიამ** და **ნადია ვივეჩამ,** სტახანოვის მეთოდების გამოყენების შემდეგ საგრძნობლად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება. ტუნგოს ნერგების გადარგვის ნორმას ორნახევარჯერ გადაჭარბებით ასრულებენ. კერძოდ 3 ნოემბერს თითეულმა მათგანმა 4 საათის განმავლობაში 650 ძირი ტუნგო გადარგო. ეს იმ დროს, როცა დღიურ ნორმად 400 ძირის დარგვაა დაწესებული.

ექვსიოდე საათი მოანდომეს სულ ჩაისა და სუბტროპიკების სტახანოველებმა თავიანთი მიღწევებისა და გამოცდილებების გაზიარებას. გამოცდილებათა გაზიარებასთან ერთად მათ აქ იმსჯელეს, ითათბირეს იმაზე თუ როგორ შეიძლება ამ მხრივ მუშაობის შემდგომი წარმართვა, სტახანოველთა გამოცდილების ფართოდ გავრცელება და დანერგვა მუშაობის ყველა უბანზე. აქვე მიიღეს საჭირო ღონისძიებები. შებინდებისას ისევ მიაშურეს თავიანთ მეურნეობებს. მოხავერდებულ ჩაის პლანტაციებს; ოქროსფერი ნაყოფით დატვირთულ ციტრუსოვანთა ბაღნარებს, რომ უფრო უკეთესად იმუშაონ საბჭოთა ქვეყნის საკეთილდღეოდ.

აჭარისტანის ჩაისა და სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების სტახანოველთა პირველმა შეკრებამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ჩვენს დიდ ბელადს ამხ. **სტალინს.** ა.-კ. ბოლშევიკების გამობრძმედილ ხელმძღვანელს ამხ. **ლ. ბერიას** და საქ. კ. პ. (ბ) აჭაროლქკომის მდივანს ამხ. გეურქოვს.

ტ. აცანელი.

ჩაქვი. 3 ნოემბერი.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საკოლმეურნეო სოფელი დიდი დღესასწაულის წინ

„პრავდის" მოწინავე 5/XI.

სიხარულით და მხნედ ხვდება ჩვენი ქვეყანა დიდი პროლეტარული რევოლუციის 18 წლისთავს. სოციალისტური მშენებლობის ყოველი მონაწილე მთელი თავისი არსებით გრძნობს ჩვენი ქვეყნის ზრდას, ადამიანთა ზრდას. 1935 წელი, უეჭველია, იყო წელი დიდი გამარჯვებისა სამეურნეო და კულტურული ფრონტის ყველა უბანზე. მაგრამ განსაკუთრებით საოცარია წარმატებანი სოფლის სოციალისტურ რეკონსტრუქციაში. ამოძრავდა წარმოების კოლექტიურ წესში ჩაქსოვილი უდიდესი ძალები, დაიწყო სოფლის მეურნეობის ის აღმავლობა, რომლის შესახებაც ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი პარტიის მე-17 ყრილობაზე. საკოლმეურნეო სოფელი კანონიერად ამაყობს თავისი წარმატებებით, როცა დიად სახალხო დღესასწაულს ხვდება.

კოლმეურნეობებში გაერთიანებულმა მშრომელ გლეხთა მილიონებმა დაგვანახვეს, თუ რა შეუძლია მუშათა კლასის მიერ პირველხარისხოვანი ტექნიკით შეიარაღებულ სოციალისტურ მიწათმოქმედებას, რა ძალას წარმოადგენს კოლექტიური შრომა. სოფლის მეურნეობის რომელი დარგიც უნდა ავიღოთ, ყველგან დიდ ცვლილებებს ამჩნევთ. წელს მთლიანად და მოკლე, სარეკორდო ვადაში შესრულდა პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. იკრიფება ბამბის, ჭარხლის, სელის სარეკორდო რაოდენობა. მეცხოველეობამ, რომელიც აღმავლობის გზას სოფლის მეურნეობის სხვა დარგებზე უფრო გვიან დაადგა, დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. უეჭველია, გაუმჯობესდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების, განსაკუთრებით კომბაინების გამოყენება. საშემოდგომო კულტურათა ამწვანებული ჯეჯილი, მრავლად მოხნული მიწის შავი ზოლები გვეუბნებიან, რომ მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მომავალი წლისთვის უხვი მოსავლის მოპოვებას.

მიმდინარე წლის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ პარტიამ მიაღწია მთელი სასოფლო მეურნეობის, და არა მარტო მისი ცალკეული დარგების, საერთო აღმავლობას.

ეს წარმატებანი არის პირდაპირი შედეგი პარტიის, პირადად ამხანაგ სტალინის ყოველდღიური ზრუნვისა იმაზე, რომ ყველა კოლმეურნეობა გადავაქციოთ ბოლშევიკურ კოლმეურნეობად, ყველა კლმეურნე—შეძლებულად. პარტია და პროლეტარული სახელმწიფო სოფელში ყოველდღე ჰგზავნიან არა მარტო ტრაქტორებს, კომბაინებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. სოფელს მუდმივ ემატებიან ხელმძღვანელ მუშაკთა, საკოლმეურნეო მშენებლობის ორგანიზატორთა დიდი რაზმები. დაწყებული სოფელში 25 ათასეულთა გაგზავნით, პარტია გამუდმებით ავსებს სოფლად მომუშავე თავის კადრებს, ჰგზავნის იქ თავის საუკეთესო შვილებს. ცნობილია, მაგალითად, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ პოლიტგანყოფილებათა დაარსებას და საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ათეული ათასობით პოლიტგანყოფილების მუშაკთა გაგზავნას.

ამ წლების განმავლობაში სოფლად გაიზარდნენ მასობრივი ტექნიკური კადრები; ასიათასობით ტრაქტორისტები, მექანიკოსები, მერემონტე მუშები, კომბაინერები, აღმრიცხველები, მრავალ ათასობით ბრიგადირები, მერგოლენი — აი რით არის ახლა მდიდარი საკოლმეურნეო სოფელი, აი რა წარმოადგენს ყველაზე ძვირფას კაპიტალს.

ამჟამად, როცა სამეურნეო წელი თავდება, არაჩვეულებრივი სიცხადით გვეხატება მნიშვნელობა ამხანაგ სტალინის ლოზუნგისა კადრებზე, ადამიანებზე, რომელნიც ტექნიკას დაეუფლნენ. ჩვენი დროის ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენაა მუშა ქალთა და მამაკაცთა, კოლმეურნე ქალთა და მამაკაცთა მძლავრი მოძრაობა შრომის ნაყოფიერების ასაწევად. აი სად არის ჩამარხული კოლოსალური რეზერვები, აი სად იმალება სოციალისტური მშენებლობის ტემპთა დაჩქარების უდიდესი შესაძლებლობანი. ავიღოთ, მაგალითად, კოლმეურნე ქალთა მოძრაობა ჭარხლის მინდვრებზე. ხუთასეულნი ახლა ცნობილი არიან მთელი საბჭოთა კავშირისათვის. ისინი ამჟამად პროლეტარული დედაქალაქის საპატიო სტუმრები არიან. მარიამ დემჩენკოს კვალდაკვალ, რომელმაც ამხანაგ სტალინს აღუთქვა ჰექტარიდან 500 ცენტნერი ჭარხლის მიღება, ათობით და ასობით ფეხზე დადგნენ საკოლმეურნეო მინდვრების უჩინარი მშრომელი ქალები და საკუთარი თაოსნობით შეუდგნენ ამ ძნელი ამოცანის შესრულებას. გამარჯვება მოპოვებულია. უკვე არა ერთი და ორი მარიამ დემჩენკო განირჩევა სხვებს შორის თავისი ჩინებული მუშაობით.

განნა კანცებერი, მარინა გლობა ხარკოვის ოლქიდან, განა კაშევა კიევშინიდან, განნა შვიდკა, ხრისტია ბაიდიჩი, მარინა პილიპჩუკი — ვინიცის ოლქის კოლმეურნე ქალები და ჭარხლის მინდვრების მრავალი ათეული სხვა დამკვრელი — აი ვინ არიან გმირები. მოძრაობა უხვი მოსავლისათვის და შრომის დიდი ნაყოფიერებისათვის ყველგან იზრდება. კალინინის ოლქის კოლმეურნეობანი სამართლიანათ ამაყობენ ანა ვორობიოვათი, რომელმაც სელის პენტვის რეკორდი დაამყარა. მაგრამ ვორობიოვას კვალდაკვალ გაჩნდნენ ანა მელნიკოვა, ალექსანდრა შებალინა, ეკატერინე დიმიტროვა, მარიამ ბუდარინა, რომლებმაც ვორობიოვას რეკორდს გადაამეტეს. შუააზიის რესპუბლიკებშიც, სადაც ქალები წარსულში განსაკუთრებით დაჩაგრული იყვნენ, ბამბის მინდვრებზე საკუთარი გმირები გაჩნდნენ. საკოლმეურნეო მოძრაობის ძალაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ერთიანი ფრიადოსანთა კვალდაკვალ გმირები ასობით და ათასობით ჩნდებიან. და თუ ბევრ ადგილას ქალები სათავეში უდგებიან ამ მოძრაობას, ეს მხოლოდ გვიჩვენებს ჩვენი სოფლის კულტურულობის ზრდას, ამხანაგ სტალინის იმ სიტყვების ღრმას სიმართლეს, რომ ქალები კოლმეურნეობაში დიდი ძალაა.

შემოსავლის დაწყებული განაწილება განსაკუთრებით ნათლად ააშკარავებს მოწინავე კოლმეურნეობათა წარმატებებს, რომელთა ამბავსაც დღეს ვაქვეყნებთ. თვითეულ კოლმეურნეობას, თვითეულ კოლმეურნეს შეუძლია ასეთ შედეგებს მიაღწიოს. „და თუ ყველა კოლმეურნე, — ყველა, და არა მარტო უმრავლესობა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — პატიოსნად იმუშავებს, — კოლმეურნეობანი გაივსება პროდუქტებით, გაივსება ყოველგვარი დოვლათით, და ჩვენი ქვეყანა გახდება ყველაზე მდიდარ ქვეყნად მსოფლიოში". სწორედ ეს არის საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომ გამარჯვებათა საფუძველი.

აეწიოთ ჩამორჩენილი კოლმეურნეობანი მოწინავეთა დონემდე — ეს სადღეისო პრობლემაა, და იგი წყდება კოლმეურნეობათა მართებული ხელმძღვანელობით.

შეხედეთ, მაგალითად, ყუბანის კოლმეურნეობებს. სამი წლის წინათ იქ კულაკობამ მოაწყო პურის დამზადების საბოტაჟი; იგი ცდილობდა კოლმეურნეობანი შიგნიდან აეფეთქებინა. მინდვრები უყურადღებოდ იყო მიგდებული, დისციპლინა დაშლილი იყო. პარტიამ, პატიოსან კოლმეურნეებზე დაყრდნობით გაანადგურა კულაკობის და კოლმეურნეობებში შეპარული თეთრგვარდიელების ნაშთები. კოლმეურნეობანი ფეხზე დადგნენ და განმტკიცდნენ.

კარგი მოსავალი, უხვი შემოსავალი შრომადღეზე, ფართო სამეურნეო და კულტურული მშენებლობა — აი რა ახასიათებს ახლა ყუბანის კოლმეურნეობებს. კოლმეურნეებისათვის არასოდეს ყოფილა ისე ცხადი, როგორც ახლა, რომ მხოლოდ კლასობრივი მტრების განადგურების გზით შეიძლება ახალი ცხოვრების შექმნა. ყუბანი იმის აშკარა მაგალითია, თუ რა შეუძლიათ კომუნისტებს, როცა ისინი სწორად ასრულებენ ამხანაგ სტალინის მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ სოფლად.

შემოსავლის განაწილება კოლმეურნეობებში, ყოველივე დანარჩენს გარდა, გვიჩვენებს, რომ მხოლოდ კოლმეურნეობა წარმოადგენს კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის ძირითად წყაროს. კოლმეურნის ოჯახის ბიუჯეტი, მისი შემოსავლის უდიდესი ნაწილი სდგება იმის ხარჯზე, რაც კოლმეურნეობიდან არის მიღებული, რაც შრომადღეში არის გამომუშავებული. ამასთან ერთად, დამხმარე მეურნეობაში მიღებული პროდუქცია ეხმარება კოლმეურნეს მთლიანად დაიკმაყოფილოს პირადი მოთხოვნილებანი. აი პირადის ეს შეთავსება საზოგადოებრივთან, რაც სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებით სწორად არის გადაწყვეტილი, წარმოადგენს საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომ წარმატებათა საფუძველს.

სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ მრავალი გადაუჭრელი ამოცანაა, კიდევ ბევრი სამუშაოა. მაგრამ მთავარი სიძნელენი უკვე განვლილია. ახლა აღარაფერია საშიში, თუ პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად დააწინაურებენ და აღზრდიან ათასობით კოლმეურნე აქტივისტებს, ათასობით სოფლის მეურნეობის სტახანოველებს, შრომის დიდი ნაყოფიერებისათვის, ბოლშევიკური კოლმეურნეობებისათვის, შეძლებული ცხოვრებისათვის თავდადებულ მებრძოლებს. ეს უმნიშვნელოვანესი ამოცანა ერთხელ კიდევ უნდა გავიხსენოთ დიადი წლისთავის წინადღით.

□ □ □

სარკინიგზო მოძრაობის გახსნა მოსკოვ-ვოლგას არხზე

მოსკოვი, 4 ნოემბერი. 4 ნოემბერს მოხდა დროებითი მოძრაობის საზეიმო გახსნა მოსკოვ-ვოლგას არხზე გადებულ ახალ რკინიგზის ხიდზე, ოქტომბრის რკინიგზის სადგურ ხიმკისთან.

დღის 2 საათსა და 10 წუთზე ხიდზე გაიარა ლენინგრადამდე მიმავალმა პირველმა საფოსტო მატარებელმა. (ადს).

ამხ. რუძუტაკი სტალინის სახელობის ქარხანაში

მოსკოვი, 4 ნოემბერი. 4 ნოემბერს სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხანა ინახულა სსრ კავშირის სახ. კომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. რუძუტაკმა. ამხ. რუძუტაკმა დაათვალიერა ქარხნის რამოდენიმე საამქრო, მთავარი კონვეიერი, აგრეთვე ახალი საამქროების მშენებლობა. საექსპერიმენტო საამქროში ამხ. რუძუტაკმა დაათვალიერა ქარხნის გამოშვებული კომფორტული ავტობუსი „ლუქსი". ამხ. რუძუტაკი დაწვრილებით ეცნობოდა ახალი ქარხნის მშენებლობის მდგომარეობას (ადს).

ვალტერ დიურანტი საბჭოთა კავშირის შესახებ

ნიუ-იორკი, 3 ნოემბერი. დღეს გამოვიდა ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტის ვალტერ დიურანტის წიგნი. დიურანტი, როგორც ცნობილია, 14 წლის განმავლობაში იყო გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტად მოსკოვში. თავის წიგნში ვალტერ დიურანტი სწერს:

„როცა თვალს ვავლებ 14 წელს, რომელიც საბჭოთა კავშირში გავატარე, არ შემიძლია არ განვაცხადო, რომ ეს პერიოდი არის გმირული ეპოქა კაცობრიობის ცხოვრებაში. ამ წლების განმავლობაში შეიქმნა და, მიუხედავად წარმოუდგენელი სიძნელეებისა, წინ მიდის პირველი ნამდვილად სოციალისტური სახელმწიფო ყოველივე იმით, რაც მას ახასიათებს: გეგმიანი ეკონომიკა, საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოება, კოლექტიური მუშაობა ინდივიდუალურის მაგივრად, კოლექტიური სიამაყე და დაინტერესება ყველაფრით, რაც კი მთელ საზოგადოებას ეხება".

„მე სავსებით დარწმუნებული ვარ, — განაგრძობს ავტორი, — რომ საბჭოთა კავშირი მხოლოდღა იწყებს თავის უდიდეს პოტენციურ შესაძლებლობათა გამოვლინებას. საბჭოთა კანონის თანახმად, სრულწლოვანად ითვლება 18 წლის ადამიანი. და სწორედ ამჟამად ახალი რუსეთი თავის არსებობის 18 წლისთავს იხდის. ჩემ თვალწინ განვლილი 14 წელი იყო მშენებლობის ზრდის წლები, ჩანასახი მდგომარეობის წლები, საიდანაც ახლა მომწიფებული ორგანიზმი იქმნება. საბჭოთა კავშირი ეკონომიურად და ფინანსიურად დამოუკიდებელია. საბჭოთა კავშირს ჰყავს ყველაზე დიდი და, იქნებ, ყველაზე მძლავრი არმია ევროპაში. საბჭოთა კავშირი მხოლოდ ახლა ამუშავებს თავის უზარმაზარ ბუნებრივ რესურსებს. საბჭოთა კავშირმა აღადგინა თავისი მდგომარეობა, როგორც ერთერთმა დიდმა მსოფლიო სახელმწიფომ, — მდგომარეობა, რომელიც მეფის რუსეთმა დაჰკარგა. ეს პროგრესი ქვეყნის შიგნით და გარეშე მსოფლიოსთან ურთიერთობის დარგში პარალელურად მიმდინარეობს საბჭოთა ბელადების შესანიშნავი ცოდნის და სიბრძნის გამოვლინებასთან, განა მე ვცდები, როცა ვფიქრობ, რომ სტალინი არის უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე ყველა თანამედროვე სახელმწიფო მოღვაწეს შორის, ხოლო ლიტვინოვი — საგარეო პოლიტიკის ყველაზე ნიჭიერი ხელმძღვანელი? ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ სტალინმა და მისმა თანამებრძოლებმა გაიყოლიეს ხალხის ყველაზე მტკიცე, ინტელექტუალური ძალები და შექმნეს ნაციონალური მთლიანობა და ენტუზიაზმი, რომელიც რუსეთის იმპერიას არასოდეს ახასიათებდა".

□ □ □ □ □

იტალია-აბისინიის ომი

ინგლის-იტალიის ურთიერთობა

ლონდონი, 4 ნოემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ინგლის-იტალიის ურთიერთობაში დღის შესამჩნევი გახდა უფრო მეტი შემარიგებლობის ატმოსფერო, რაც ნაწილობრივად აიხსნება ჟენევაში გამართული საუბრების შედეგით. მაგრამ ბრიტანეთის მთავრობა წინანდებურად მოითხოვს ორი პირობის შესრულებას, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება სამხედრო-საზღვაო ძალთა რიცხვის შემცირება ხმელთაშუა ზღვაში, სახელდობრ: 1) ანტიბრიტანული პროპაგანდის შეწყვეტას და 2) იტალიის ძალების შემცირებას ლივიაში სულ ცოტა ერთი დივიზიით მაინც. რეიტერის სააგენტოს ცნობებით, ლაპარაკიც მეტია იმაზე, რომ ინგლისის მთავრობამ ხელი აიღოს ამ ორ პირობაზე. შესაძლოა, რომ ამ კვირის დამლევს ეს ორი პირობა დაკმაყოფილებულ იქნება იტალიის მიერ. ამას გარდა, რეიტერის სააგენტომ მიიღო ცნობები, რომ ალოიზის არ მოუთხოვია დაუყოვნებლივი ზავის დადება სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებამდე, როგორც ეს წინად იყო გამოქვეყნებული" (ადს).

□

ამცირებენ სათბობის მოხმარებას

ვენა, 3 ნოემბერი. ვენის გაზეთები აქვეყნებენ „იუნაიტედ პრესის" ცნობებს რომიდან, რომელშიაც ნათქვამია, რომ იტალიის მთავრობას განზრახული აქვს შემოიღოს სახელმწიფო მონოპოლია ყოველგვარი სათბობისა და მიიღოს ზომები სათბობის მოხმარების შესამცირებლად. ამგვარად 6 ნოემბრიდან რკინიგზის მატარებელთა რაოდენობა 46 შემადგენლობით მცირდება (ადს).

რომი, 3 ნოემბერი. განათებისა და სათბობის ეკონომიისთვის მთელ იტალიაში მცირდება მაღაზიების სალამოს სამუშაო საათები (ადს).

□

უარყოფენ ლავალის გადადგომის ხმებს

პარიზი, 4 ნოემბერი. ჰავასის სააგენტო აქვეყნებს ცნობას, რომელიც უარყოფს უკანასკნელ დღეებში გავრცელებულ ხმებს, თითქოს ლავალი გადადგომას აპირებდეს ლავალმა ჰავასის სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ მისი გადადგომის ხმები თავიდან ბოლომდე ფანტაზიას წარმოადგენს. „ეპორი" სწერს, რომ ლავალის გადადგომის ხმებს, რომლებიც ჟენევიდან გამომდინარეობენ, ინგლისის პრესა უკვე სამი კვირის წინათ ავრცელებდა. (ადს).

ჩრდილოეთის ფრონტი

ლონდონი, 4 ნოემბერი. აბისინიიდან მიღებული ცნობებით, იტალიის ჯარებმა დაიწყეს შეტევა მთელი ჩრდილოეთის ფრონტით. იტალიის ჯარი, რომელიც დაახლოებით 125 ათასი კაცისაგან შესდგება, მიიწევს 95 კილომეტრის მანძილზე გაჭიმული ფრონტით მაკალეს მიმართულებით. შეტევას აწარმოებს სამი კოლონა აქსუმიდან, ადუადან და ადიგრატიდან, კოლონებს იცავენ ტანკები და ფერადკანიანი ჯარისკაცები. ფრონტიდან სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზე დაფრინენ მრავალი მზვერავი თვითმფრინავი და ყუმბარმზიდები. რომლებიც ცდილობენ აღმოაჩინონ აბისინიის ნაწილების დაბანაკების ადგილი.

კორესპონდენტების ცნობებით, მარჯვენა ფლანგზე შემთხვევითი სროლის გარდა, აბისინელებს არ გაუწევიათ წინააღმდეგობა იტალიელებისათვის. უკანასკნელი ცნობებით იტალიის ჯარმა დაიკავა ხაუცენი (ადუასა და მაკალეს შუა).

„ნიუს კრონიკლის" ადის-აბებელ კორესპონდენტს მოჰყავს დაწვრილებითი ამბები, თუ როგორ დაესხნენ თავს ღამით დანაკილის ტომის მეომრები იტალიის სამხედრო ბანაკს მუსა-ალის მთის რაიონში. კორესპონდენტის სიტყვით, ხელჩართულ ბრძოლაში იტალიელებმა დაჰკარგეს 700 კაცი, ხოლო დანაკილებმა—1200 კაცი.

„მორნინგ პოსტის" კორესპონდენტის მიერ ადის-აბებიდან მიღებული ცნობების თანახმად, აბისინიის მთავრობამ განიხილა 1 მილიონი კაცისაგან შემდგარი უზარმაზარი სარეზერვო არმიის შექმნის საკითხი. კორესპონდენტის სიტყვით, რას კასას სარდლობის ქვეშ მყოფი ჯარების საგრძნობი ნაწილი ამჟამად მიიწევს რას სეიუმის ჯარების მარჯვენა ფლანგის გასწვრივ მაკალეს მიმართულებით. რას კასას არმია დაყოფილია სამ კოლონად. 70 ათასი კაცი იმყოფება რას აიელუს და რას სეიუმის არმიებს შუა ადუის ხაზზე, 40 ათასი კაცი იმყოფება რას სეიუმის ჯარების მარცხენა ფლანგთან და 60 ათასი კაცი მიიწევს აღმოსავლეთის მიმართულებით.

როგორც „ნიუს კრონიკლის" კორესპონდენტი ადის-აბებიდან იტყობინება, იქ მიღებულია ცნობა, რომ რას აიელუს და რას იმერუს ჯარები გადავიდნენ მდინარე სეტიტზე და ღრანი ტყეებით მიიწევენ ჩრდილოეთის მიმართულებით. იტალიის თვითმფრინავები უშედეგოდ ცდილობენ მათი ადგილსამყოფელის აღმოჩენას.

სამხრეთის ფრონტი

ჩრდილოეთში წარმოებულ შეტევასთან ერთად იტალიის ჯარის ორმა კოლონამ დაიწყო შეტევა ოგადენის ფრონტზე (ადს).

□

უცხოეთის საქონლის ბოიკოტი იტალიაში

რომი, 3 ნოემბერი. ცნობამ იმის შესახებ, რომ დადგენილია სანქციების გამოყენების ვადა, მთელ იტალიის პრესაში გამოიწვია იმ ქვეყნების საქონლის ბოიკოტისთვის მოწოდება, რომელიც მონაწილეობენ სანქციებში, პირველ ყოვლისა კი მოუწოდებენ ინგლისის საქონლის ბოიკოტისათვის. ტურინში ცენტრალური ქუჩების მაღაზიებში გამოფენილია პლაკატები: „უცხოეთის საქონლის ყოველი მყიდველი —მოღალატეა!" უცხოეთის საქონლის ყველა ვიტრინა ალებულია. ტურინის კომერსანტებმა თავის უცხოელ მომწოდებელთ გაუგზავნეს წერილები და ატყობინებენ წინანდელი შეკვეთების გაუქმებას. (ადს).

აბისინიის ნეგუსის ახალი განცხადება

ნიუ-იორკი, 3 ნოემბერი. აბისინიის ნეგუსმა ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ადის-აბებელ კორესპონდენტს განუცხადა, რომ ნავთის დამუშავების კონცესია, რომელიც „სტანდარტ ოილის" კომპანიას მიეცა, არაა გაუქმებული, არამედ მხოლოდ დროებით არის შეჩერებული.

ნეგუსმა გამოსთქვა რწმენა, რომ როცა აბისინიაში კვლავ დამყარდება მშვიდობიანობა და გარემოება უფრო ხელსაყრელი შეიქნება, კონცესიის შესახებ დადებული შეთანხმების ყველა პირობა აღდგენილი იქნება. ნეგუსი შეეხო იტალია-აბისინიის კონფლიქტის მოგვარების პირობებს, რომლებიც, როგორც გამოქვეყნებული იყო, მუსოლინიმ და ლავალმა წამოაყენეს. მან განაცხადა, რომ ეს წინადადებანი წარმოადგენენ ერთა ლიგის წესდების ახალ სახიფათო დარღვევას. „მსგავსი პირობების მიღება, — განაცხადა ნეგუსმა,—იქნებოდა საერთაშორისო ძარცვის ლეგალიზაცია, ჩვენთვის მიუღებელია ისეთი ზავი, რომელიც ლიგის პრინციპებს ეწინააღმდეგება. თუ სხვა ცივილიზებული სახელმწიფოები, იტალიის მსგავსად, ფიქრობენ, რომ მათ შეუძლიათ დაარღვიონ საერთაშორისო ხელშეკრულებანი, მაშინ ჩამორჩენილი აბისინია ვერასოდეს მიაღწევს ცივილიზაციის ისეთ დონეს, როცა მას შეეძლება ნება მისცეს თავის თავს უარი სთქვას ნაკისრ ვალდებულებებზე. (ადს).

□

იტალიის პრესა ჟენევაში მიმდინარე მოლაპარაკების შესახებ

რომი, 4 ნოემბერი. „გადვეტა დელ პოპოლო" აქვეყნებს მთელ რიგ საინტერესო დეტალებს ჟენევაში უკანასკნელად მიმდინარე მოლაპარაკების შესახებ.

„ხორსა და ლავალს, — სწერს გაზეთი, —ჩვენი დელეგატისათვის არც ერთი მისაღები წინადადება არ შეუთავაზებიათ. როგორც ჩანს, ლავალს ჰქონდა გადაჭარბებული ილუზიები ინგლისის დათმობის შესახებ. ხორმა გადაჭრით უკუაგდო გეგმა აბისინიის დაყოფისა რამოდენიმე ნაწილად რომელთაგან ერთი დამოუკიდებელი რჩებოდა, მეორე კი იტალიას უერთდებოდა". მიუხედავად ამისა, გაზეთი აღნიშნავს, რომ ალოიზის შეხვედრა ხორთან უსარგებლო არ ყოფილა.

ტონის მხრივ დამახასიათებელია შემდეგი განცხადება:

„ალოიზმა აგრძნობინა ინგლისის მინისტრს, რომ იტალია ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომელიც მას ძრიად უძნელებს შეთანხმებაზე წასვლას იტალიის მთავრობა მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება, მაგრამ ეს მას არ შეუძლია რევოლვერის მუქარით" (ადს).

□

საომარი მოქმედება აბისიანიაში

ლონდონი, 4 ნოემბერი. ინგლისის პრესის ცნობით იტალიის ჯარებმა ჩრდილოეთის ფრონტზე აბისინიაში 32 კილომეტრით წაიწიეს წინ. გენერალი სანტინის კოლონის მთავარმა რაზმმა მიაღწია ენდა უიზერის პუნქტს, რომელიც დებრა სინეს 5 კილომეტრით არის დაშორებული. მარჯვენა ფლანგზე გენერალ ბიროლის აფრიკელთა დივიზია იმყოფება რამდენიმე კილომეტრის მანძილზე გაუზიენიდან. გაუზიენში შევიდნენ იტალიის პატრულები, მაგრამ იგი ჯერ არ არის დაკავებული იტალიის ჯარის მიერ. იტალიის სარდლობა დიდ მნიშვნელობას აძლევს გაუზიენის დაკავებას. მას ჰგონია, რომ ამით გადაწყდება მაკალესკენ მიმავალი მთავარი კოლონის მარჯვენა ფლანგის დაცვის ამოცანა.

დღეს ადის-აბებაში გამოსცეს ოფიციალური კომუნიკე, სადაც აღნიშნულია, რომ 2 ნოემბერს იტალიის თვითმფრინავებმა ძლიერ უშინდეს ყუმბარებს გორობას. მოკლულია 30 ქალი და 15 ბავშვი (ადს).

□

რეიტერის სააგენტოს ცნობა

ლონდონი, 4 ნოემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ოფიციალურად უარყოფენ, თითქოს ინგლისი საფრანგეთის მხრივ ხმელთაშუა ზღვაზე სამხედრო საზღვაო დახმარების საკომპენსაციოდ აპირებდეს საფრანგეთის რეინის საზღვრის უზრუნველყოფას. ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმაზე, რომ ბრიტანეთის მთავრობამ გააფართოვოს ლოკარნოს ხელშეკრულების ვალდებულებანი. ბრიტანეთის მთავრობა იცავს ლოკარნოს ხელშეკრულებას და არ აპირებს იკისროს ამ მხრივ ახალი ვალდებულებანი". (ადს).

დონის-როსტოვში ვოროშილოვის სახელობის სტადიონზე დამთავრდა სრულიად საარმიო შეჯიბრება მძლეოსნობაში: **სურათზე:** სპორტის დამსახურებული ოსტატი ამხ. დემინი (მარცხნივ) ესაუბრება მუშურ-გლეხური წითელი არმიის რეკორდსმენებს: ამხ. კანაკის (კავკ. სამხ. ოლქი), და ამხ. დოლგოვს (მოსკოვის სამხ. ოლქი).

ერ. გორდელაძე

განათლების სახალხო კომისრის მოადგილე

სოციალისტური კულტურის აღმავლობის ნიშნით

> „მხოლოდ მაშინ, თუ ახალგაზრდობის სწავლების, ორგანიზაციისა და აღზრდის საქმეს ძირფესვიანად გარდავქმნით, შეგვიძლია მივაღწიოთ იმას, რომ ახალგაზრდა თაობის მეცადინეობის შედეგად შეიქმნას ისეთი საზოგადოება, რომელიც ძველს არ ჰგავს, ე. ი. კომუნისტური საზოგადოება".
>
> ლენინი.

ხვალ ოქტომბრის დიდი რევოლუციის 18 წლისთავია. ეს მთელი მსოფლიოს მშრომელთა უდიდესი დღესასწაულია, ძლევამოსილი სოციალიზმის დიდი ქვეყნის აღორძინებული ხალხის დღესასწაულია.

ხვალ ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ყველა კუთხეში მშრომელთა მძლავრი კოლონები, რომელთაც ბედნიერი ცხოვრება იწყეს, მხნენი და მხიარულნი, ამაყად და იმედიანად გვიჩვენებენ თავის გმირულ გამარჯვებებს უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ყველა ფრონტზე.

ოქტომბრის პროლეტარულმა რევოლუციამ გადაშალა ისტორიის ახალი ფურცელი, რომლითაც დაიწყო ახალი ეპოქა — კაცობრიობის განთავისუფლების ეპოქა.

18 წლის განმავლობაში კაცობრიობის საოცნებო იდეების გამომსახველი ჩვენი ქვეყანა გადაიქცა მსოფლიოს ყველაზე მოწინავე ქვეყნად, სიმდიდრისა და დოვლათის ქვეყნად, მძლავრ, მოწინავე ტექნიკით აღჭურვილ და ყველაზე მსხვილი მექანიზებული სასოფლო მეურნეობის ქვეყნად, ლონიერი საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ქვეყნად. 18 წლის მანძილზე მოხდა ჩვენი მრავალფეროვანი ცხოვრების დიადი განახლება.

ახლა ჩვენ ვცხოვრობთ ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის მძლავრი გაშლის ქვეყანაში, სადაც მეცნიერული აზრის განვითარება, რომელსაც ფართო ასპარეზი და მტკიცე მატერიალური საფუძველი მიეცა, ახალი აღმოჩენებით ამდიდრებს ადამიანის ცოდნის საგანძურს, გადაგვიშლის და იპყრობს ბუნების ახალ, უცნობ სიმდიდრეებს და პროლეტარიატის ინტერესებისათვის იყენებს მათ.

„ჩვენს მთავრობასა და პარტიას არა აქვთ სხვა ინტერესი და საზრუნავი, გარდა იმ ინტერესებისა და საზრუნავისა, რომლებიც ხალხს აქვს" (სტალინი). მთელი სიმდიდრე, საუკეთესო ბინები, საუკეთესო სასახლეები, კურორტები, სკოლები და თეატრები, ხელოვნება და ლიტერატურა, რაც წარსულში მხოლოდ მეფეებისა, ფეოდალებისა და მდიდრებისათვის იყო მისაწვდომი, ახლა მუშათა და კოლმეურნეთა კეთილდღეობას ხმარდება.

საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელთა ფართო მასებს გაუხსნა ცოდნისა და მეცნიერების გზა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შევძელით მოგვესპო წერა-კითხვის უცოდინარობა, სიბნელე და უმეცრება, შევძელით შეგვენარჩუნებინა და კრიტიკულად აგვეთვისებინა მსოფლიოს მთელი კულტურის უდიდესი ქმნილებანი, შევძელით შეგვეიარაღებინა მშრომელთა ფართო მასები მთელი იმ მრავალფეროვანი ცოდნით, რომელსაც კაცობრიობამ მიაღწია.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების პირველ დღეებიდანვე, საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი ყურადღებისა და ყველაფრის გარდამქმნელი შეგნებული მუშაობის ცენტრში მოაქცია ჩვენი პარტიის დიადი პროგრამის განხორციელება, ჩვენი პარტია სახალხო განათლების დარგში ამოცანად ისახავდა სკოლის გადაქცევას „ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის იარაღიდან საზოგადოების კლასებად დაყოფის სრული მოსპობის იარაღად, საზოგადოების კომუნისტური გარდაქმნის იარაღად".

პირველი მოწოდება, რომლითაც პარტიამ და მისმა გენიოსურმა ბელადებმა — ლენინმა და სტალინმა — ახალგაზრდობას მიმართეს იყო: ისწავლე, ისწავლე და კიდევ ისწავლე.

„კომუნისტი შეიძლება გახდე მხოლოდ მაშინ, როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ მთელი იმ ცოდნით, რომლისთვისაც კაცობრიობას მიუღწევია" — ამბობდა პროლეტარიატის უბრძნესი მასწავლებელი და ბელადი ლენინი ახალგაზრდობის კავშირის მე-3 ყრილობაზე. ხოლო მე-8 ყრილობაზე ლენინური კომკავშირი დაძაბული ყურადღებით ისმენდა დიდი სტალინის მოწოდების სიტყვებს:

„ჩვენს წინაშე აღმართულია სიმაგრე. ამ სიმაგრეს ეწოდება მეცნიერება ცოდნის მრავალრიცხოვანი დარგით. ეს სიმაგრე ჩვენ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა ავიღოთ. ეს სიმაგრე უნდა აიღოს ახალგაზრდობამ, თუ მას სურს იყოს ახალი ცხოვრების მშენებელი, თუ მას სურს გახდეს ძველი გვარდიის ნამდვილი ცვლა..."

განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, სამეურნეო ფრონტზე მიღწეულ გამარჯვებათა შემდეგ, როცა ჩვენ შევედით „ახალ ხანაში, ხალხის მასების უშუალო სანიმუშო მომსახურებისათვის მშენებლობის ხანაში" (კაგანოვიჩი), — კულტურული რევოლუციის ფრონტი, სახალხო განათლების ფრონტი იქცა პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის საგნად, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის გამახვილებული ყურადღების საგნად. ჩვენი პარტია და პირადად ამხ. სტალინი თავისი ბრძნული ხელმძღვანელობით ქმნის ყველა აუცილებელ პირობას, რომ ჩვენი საბჭოთა სკოლა გახდეს ყველაზე კულტურულ, ყველაზე მოწინავე სკოლად მსოფლიოში, რომ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობა, რომელიც ოქტომბრის დიდი რევოლუციის ბედნიერ ვარსკვლავზე დაიბადა, სანიმუშოდ აღიზარდოს.

შეადარეთ ყოველივე ეს იმას, რაც ხდება ჩვენი სამშობლოს გადაღმა, კაპიტალიზმის ქვეყნებში. კრიზისები და დეპრესიები, უმუშევრობა, სილატაკე და შიმშილი, გამხეცებული ფაშიზმის აღვირახსნილი ბატონობა, საპყრობილეები და საკონცენტრაციო ბანაკები მუშებისათვის, მშრომელ გლეხთა გაჩანაგება და გაველურება — აი რა სურათია კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ფაშისტური გერმანია, პოლონეთი, იაპონია და სხვები ანგრევენ, ფეხქვეშ სთელავენ საუკუნოებით დაგროვებულ კულტურას, სდევნიან, მორალურად და ფიზიკურად სპობენ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, სწვავენ მათ უძვირფასეს ნაშრომებს, ჰქადაგობენ ზოოლოგიურ შოვინიზმს, რასობრივ „თეორიას", ხალხთა შორის სთესენ და აღვივებენ სიძულვილს, ამზადებენ ახალ იმპერიალისტურ ხოცვა-ჟლეტას, ადამიანთა ხოცვა-ჟლეტას.

კაპიტალიზმის ქვეყნებში ამცირებენ დოტაციებს — უნივერსიტეტების, სკოლების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების შესანახად. ბავშვები სკოლის გარეთ რჩებიან, მატულობს წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი, ხოლო პედაგოგები უმუშევართა არმიას ავსებენ. იხურება თეატრები, ცალიერდება სანახაობითი დაწესებულებანი. დამშეული მხატვრები, არტისტები, მწერლები, პედაგოგები, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკები — ხელგაწვდილნი დაიარებიან ქუჩა-ქუჩა, ოდესღაც თავისი ცივილიზაციით ამაყ, მსოფლიო სახელის მქონე ქალაქებში.

განათლების ფრონტისათვის გასული წელი იყო უდიდეს გამარჯვებათა წელი. პარტიისა და მთავრობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა სკოლის შესახებ უზრუნველყვეს გადამწყვეტი გარდატეხა სწავლების ხარისხის ამაღლების, სკოლის ორგანიზაციული და მატერიალური განმტკიცების, დისციპლინის განმტკიცების, სკოლის ყველა დარგში მკაცრი წესრიგის დამყარების საქმეში.

სასწავლო წლის წარმატებით მომზადების შედეგად მთლიანად შესრულებულია სკოლის დაკომპლექტების გეგმა. პირველ კლასებში მიღებულია 93,408 მოსწავლე, მე-5 კლასებში — 62.718 მოსწავლე და მე-8 კლასებში — 9,667 მოსწავლე. წელს დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში სწავლობს 677,090 მოსწავლე. შეადარეთ ეს ციფრი იმას, რაც მეფის დროს იყო, როცა საქართველოს ყველა ტიპის სკოლებში სწავლობდა სულ 135.000 ბავშვი, და მაშინ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიღწეულ წარმატებათა სიდიადე, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რა შეუძლია კაპიტალიზმის მონობის ხუნდებისაგან განთავისუფლებულ და საკუთარი თავისთვის მომუშავე პროლეტარიატს.

დაწყებით სკოლებში წელს გაიგზავნა 2,150 ახალი მასწავლებელი და დამტკიცებულია სკოლების 535 გამგე. გაიგზავნა და გადაყვანილ იქნა არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში 1.460 მასწავლებელი. დაინიშნა და გადაყვანილ იქნა 350 დირექტორი. შემოწმდა და დამტკიცდა განათლების განყოფილებათა გამგეებისა და სკოლის ინსტრუქტორების შემადგენლობით.

შეკეთდა 2500-ზე მეტი საკლასო ოთახი, დამზადდა 338,000 საკლასო პარტა, 2800 საკლასო დაფა, 390 სასწავლო კაბინეტი, სკოლებს გაეგზავნა 9000 გეოგრაფიული რუკა. დამზადდა 200.000-ზე მეტი კუბ. მეტრი შეშა და სხვა.

ტფილისში წელს აიგო 7 ახალი სანიმუშო სტალინური სკოლა და მომავალ წელს აიგება კიდევ 10 ახალი სკოლა.

შედარებით წარმატებით სრულდება სასკოლო მშენებლობის გეგმა სოფლადაც.

წლითიწლობით ძლიერდება და სახალხო განათლების სისტემაში მკვიდრ ადგილს ჰპოულობს სკოლამდელი აღზრდაც. საკავშირო სახკომსაბჭოს მიერ ამ ცოტა ხნის წინათ მიღებული გადაწყვეტილება სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციის, მათი დაფინანსების გაძლიერებისა და მატერიალური ბაზის განმტკიცების შესახებ წარმოადგენს სკოლამდელი აღზრდის შემდგომი, უფრო სწრაფი ზრდისა და განვითარების საწინდარს.

საბჭოთა საქართველო, ასრულებს რა ბელადის მითითებებს პედაგოგიური განათლების გადაჭრით გაუმჯობესების შესახებ, ამ დარგშიც თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია.

საქართველოში არის სამი პედაგოგიური, სამი ორწლიანი ინსტიტუტი და 56 პედტექნიკუმი, სადაც იჭედებიან, იზრდებიან და მზადდებიან პედაგოგთა ახალი კადრები, ჩვენი სკოლების ენტუზიასტ-ოსტატები.

მასწავლებელთა ძირითადი მასა — ეს ჩვენი, საბჭოთა მასწავლებლობაა, რომელიც გამსჭვალულია ღრმესი პასუხისმგებლობით ჩვენი ქვეყნის ბავშვთა აღზრდის საპატიო საქმისათვის. პედაგოგმა, როგორც სასწავლო პროცესის ცენტრალურმა ფიგურამ, ჰპოვა თავისი უფლება სკოლაში და ჩვენს საზოგადოებრიობაშიც. იგი სარგებლობს პატივისცემით, ყურადღებით და ზრუნვით პარტიისა და მთავრობის მხრივ.

თვითეული წელი აღინიშნება მეცნიერების ზრდით. ამჟამად საბჭოთა საქართველო დაფარულია მეცნიერულ და მეცნიერულ-საგამოკვლევო ინსტიტუტების ფართო ქსელით. მათი რიცხვი ჩვენში 130-ს აღემატება. მათ შორის ცენტრალური ადგილი უჭირავს სახელმწიფო უნივერსიტეტს, როგორც უმაღლესი ტიპის დიდ სამეცნიერო სასწავლო დაწესებულებას.

სოციალისტური კულტურის ზრდის უმაგალითო მაჩვენებელია ლიტერატურული ფრონტის გაფურჩქვნა, ჩვენი მწერლების წარმატებანი. მათ თავისი დიდი იდეურად და მხატვრულად მაღალხარისხოვანი ნაწარმოებებით ერთერთი პირველი, საპატიო ადგილი უკავიათ მოძმე რესპუბლიკათა მწერლებსა და ლიტერატურას შორის.

სწრაფად იზრდება და მაგრდება საბჭოთა ხელოვნება. მარტო ტფილისში ჩვენ გვაქვს 10 სხვადასხვა თეატრი. გვაქვს თეატრები, რომელთაც საკავშირო სახელი მოიპოვეს, თეატრები რომელნიც სძლევენ ორგანიზაციული და შემოქმედებითი ხასიათის სიძნელეებს და განუხრელად მიიწევენ წინ — ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ. ღირსშესანიშნავი თეატრები ჩვენ ცოტა როდი გვაქვს რაიონებშიც. მაგრამ ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ არც ერთ რაიონს არ სურს ჩამორჩეს ხელოვნების წინსვლას. შენდება ახალი თეატრები ქუთაისში, ბათომში, მახარაძის რაიონში, გორში და სხვაგან.

თავისი ამასწინდელი გამოფენით ჩვენმა ფერწერამ და სკულპტურამ გვიჩვენეს ბრწყინვალე წარმატებანი, რომლებმაც ხელოვნება გაამდიდრეს მაღალხარისხოვანი ოსტატობის შრომებით ჩვენი სოციალისტური, მრავალფეროვანი, მდიდარი სინამდვილიდან. მთელი რიგი უძვირფასესი ნაწარმოებებით შეიძლება დაიტრაბახოს ჩვენმა საბჭოთა მუსიკამაც, რომელიც ღრმად და მთლიანად ასახავს სოციალისტური მშენებლობის ყოველდღიურობას.

სოციალისტური კულტურის ნათელი სხივი ეფინება ჩვენს მოწინავე საკოლმეურნეო სოფელს, რომელიც მტკიცედ დაადგა შეძლებული, სასიხარულო ცხოვრების გზაზე. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, ათასობით ახალი სკოლები, ბიბლიოთეკები, სამკითხველოები, რადიოფიკაცია და კინო, კულტურის, სისუფთავის, წესრიგის დანერგვა ყოფაცხოვრებაში და ადამიანთა ურთიერთობაში — აი რა შეუძლია გვიპატაკოს ჩვენმა საბჭოთა საკოლმეურნეო სოფელმა ოქტომბრის რევოლუციის მე-18 წლისთავზე.

◆

ეროვნული

წითელი არმიის ლეიტენანტები

□ □

ა. კ. ქვეითი სკოლის ლეიტენანტთა გამოშვება

სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ: ამხ. გუჯაბიანი, ლაბაგიანი, ბერონიძე და იოსელიანი. შუაში: ა.-კ. ქვეითი სკოლის უფროსი და სამხ. კომისარი ამხ. ვივინი.

მისალმებანი

საკავშირო კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტისაგან

საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი მიესალმება ამიერ-კავკასიის ქვეითი ჯარის სკოლის მე-8 გამოშვების მეთაურებს—მუშურ-გლეხური წითელარმიის ლეიტენანტებს.

ბოლშევიკური პარტიის მისი ცენტრალური კომიტეტისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, საბჭოების ქვეყნის წითელი არმია მძლე და ურყევ ძალად გადაიქცა. იცავს რა საბჭოთა კავშირის ხალხთა მშვიდობიან სოციალისტურ შრომას, წითელი არმია მუდამ მზად არის მტრის დარტყმას გამანადგურებელი დარტყმით უპასუხოს.

ქვეითი ჯარის ამიერ-კავკასიის სკოლამ ასობით გამოზარდა მეთაურები და პოლიტმუშაკები მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილთა განსამტკიცებლად.

მოულოცავს რა მგზნ ქვეითი ჯარის ამიერ-კავკასიის სკოლის მე-8 გამოშვების მეთაურებს სკოლის წარმატებით დასრულებას და წითელი არმიის ლეიტენანტების სახელწოდების მიკუთვნებას, პარტიის ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ახალგაზრდა მეთაურები მთელ თავის ცოდნას, ენერგიას და ძალღონეს მოახმარებენ ჩვენი არმიის საბრძოლო ძლიერებისა და სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის შემდგომ განმტკიცებას.

გაუმარჯოთ პროლეტარული რევოლუციის არმიის ლეიტენანტებს!

გაუმარჯოს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებათა ორგანიზატორს. ხალხთა ბელადს—დიდ სტალინს!

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი.

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოსაგან

ამიერ-კავკასიის სფს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ბოლშევიკურ სალამს უთვლის ამიერ-კავკასიის ქვეითი ჯარის სკოლას.

თქვენი სახით ჩვენი ძლიერი და შეუდრეკელი წითელი არმია ღებულობს მუშურ-გლეხური წითელი არმიის ახალ მეთაურებს, რომელნიც აღზრდილი არიან ლენინ-სტალინის მოძღვრებაზე და აღჭურვილი არიან სამხედრო ხელოვნებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით.

ჩვენ სიხარულით აღვნიშნავთ ამიერ-კავკასიის ქვეითი ჯარის სკოლის უდიდეს დამსახურებას. მან აღზარდა ასობით მეთაურები და პოლიტმუშაკები ჩვენი დიდი სამშობლოს თავდაცვის უნარიანობის განსამტკიცებლად.

თქვენ მოგეკუთვნით საპატიო სამხედრო სახელწოდება წითელი არმიის ლეიტენანტისა.

ამიერ-კავკასიის სფს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო დარწმუნებულია, რომ თქვენ ღირსეულად მოეპყრობით ამ სახელწოდებას.

განამტკიცეთ და უფრო მაღლა და მაღლა ასწიეთ მუშურ-გლეხური წითელი არმიის საბრძოლო და პოლიტიკური ძლიერება.

ფხიზლად დაიცავით საბჭოთა კავშირის ხალხთა მშვიდობიანი, სოციალისტური შრომა და ჩვენი სახელოვანი სამშობლოს საზღვრები.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წითელარმიას და მის ბელადს ვოროშილოვს.

გაუმარჯოს საკ. კ.პ. (ბ)!

გაუმარჯოს ჩვენი გამარჯვებების დიდ ორგანიზატორს ძვირფას სტალინს!

ამიერ-კავკასიის სფს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

მიზანს მივაღწიე

წარმოება იყო ჩემი პირველი სასწავლებელი.

სამუშაოდან წითელ არმიის რიგებში წავედი მოხალისედ. წითელი არმია ჩემთვის სწავლა-განვითარების შემდეგი საფეხური იყო. აქვე ამიძრა სურვილი გავმხდარიყავი სამხედრო საქმის ოსტატი, წითელი მეთაური.

მიზნის განსახორციელებლად ამიერ-კავკასიის სამხედრო სკოლაში შევედი. დღეს ჩემს მიზანს მივაღწიე. სკოლის დამთავრება წითელ ლეიტენანტის სახელწოდებას მანიჭებს.

ვალდებულებას ვიღებ დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-18 წლისთავზე, რომ ამ საპატიო წოდებას ღირსეულად ვატარებ.

ლეიტენანტი **ბედოშვილი.**

□

რა მომცა სკოლამ

მე მომცა სკოლამ ლეიტენანტის სახელწოდება. ვალდებულებად ვღებულობ წითელი მეთაურის ეს სახელწოდება ვატარო ღირსეულად და შევასრულო სასახელოდ.

მეორე—ეს არის ცოდნა, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს ლეიტენანტის სახელწოდება და ღირსებას ჩემს შემდგომ მუშაობაში.

მესამე—უნარი და ცოდნა ვასწავლო და აღვზარდო წითელარმიელები ლენინის და სტალინის დიდი პარტიის—საბჭოთა ხელისუფლების საქმისათვის.

მეოთხე—ეს მხიარულება გაბედულება და თვით რწმენა ყოველ ჩემს მოქმედებაში.

მეხუთე—გამოცდილება და ინტერესი პარტიულ პოლიტიკურ მუშაობაში.

მეექვსე—საკმაო ორგანიზაციული უნარი—წითელარმიაში მუშაობისა.

მეშვიდე, რაც მე მომცა ლეიტენანტების სკოლამ, ეს არის ცოდნა, თუ როგორ ვიმუშაო ჩემ თავზე შემდგომ მუშაობაში.

მე ამათ ყველას წარჩინებით შევასრულებ სოციალისტური სამშობლოს წინაშე.

ლეიტენანტი **ბუბნოვი.**

არმიის სარდლობისაგან

ამიერ-კავკასიის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის ქვეითი ჯარის სკოლა უშვებს ბოლშევიკ მეთაურთა ახალ რაზმს, პირველ წითელ ლეიტენანტებს.

სკოლა იყო და არის ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ყველა ნაწილის მეთაურთა და პოლიტმუშაკთა კადრების ძირითადი წყარო.

ჩვენი ნაწილების ბევრი მეთაური და პოლიტმუშაკი, რომელთაც სამხედრო და სამხედრო-პოლიტიკური განათლება ამ სკოლაში მიუღიათ, დიდ მუშაობას ეწევიან ჩვენი მრავალეროვანი ოლქის ყველა ნაწილში.

გამოშვებულთ უნდა ახსოვდეთ, რომ სკოლა მოსამზადებელი საფეხურია, ნამდვილი სკოლა—ეს არის ნაწილების მრავალფეროვანი ცხოვრება: „კადრების ნამდვილი გამობრძმედა ცოცხალი ხდება მუშაობის დროს, სკოლის გარეთ, სიძნელეებთან ბრძოლაში, სიძნელეთა დაძლევაში... სიძნელეებთან ბრძოლაში იჭედებიან ნამდვილი კადრები... ხოლო თუ ჩვენს არმიას საკმაო რაოდენობით ეყოლება ნამდვილად გამობრძმედილი კადრები, იგი უძლეველი იქნება" **(სტალინი).**

მივესალმებით რა სკოლის მეთაურთა მერვე გამოშვებას, დარწმუნებული ვართ, რომ წითელი ლეიტენანტები პრაქტიკულ მუშაობაში ისევე, როგორც სკოლაში, გვიჩვენებენ ჩვენი ნაწილების პოლიტიკური აღზრდისა და საბრძოლო მომზადების ნიმუშს.

ა.-კ. სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი

ლევანდოვსკი.

ა.-კ. სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს

უფროსი იარცევი.

□ □ □

საპატიო სახელწოდება, დიდი მოვალეობა

დიდი სიხარულით ვეგებები მესამე კურსელების—ლეიტენანტების გამოშვებას.

ვამაყობ იმით, რომ მეც ამ კურსდამთავრებულთა რიცხვში ვარ. მიხარია, რომ მეღირსა სოციალისტურ სამშობლოს დამცველთა საპატიო რიგებში ყოფნა.

ჩემთვის ადვილი როდი იყო სკოლაში სწავლა. მეტად დაბალი განვითარების დონით მოვედი აქ ქვემო სვანეთიდან, იმ კუთხიდან, რომელიც მხოლოდ პროლეტარული რევოლუციის წყალობით დაადგა სამეურნეო და კულტურულ განვითარების გზას.

გამოშვების დღიდან არც ერთმა ჩვენთაგანმა არ უნდა დავივიწყოთ დიდი ბელადის სტალინის სიტყვა, წარმოთქმული აკადემიკოსთა გამოშვებაზე.

„...სკოლა მხოლოდ მოსამზადებელი საფეხურია, კადრების ნამდვილი წრთობა ხდება ცოცხალ სამუშაოზე სკოლის გარეთ, სიძნელეებთან ბრძოლისას, სიძნელეთა გადალახვისას".

ლეიტენანტი პ. მოსელიანი

□ □ □

ახალწვეულთა გაცილება

დამთავრდა 1913 წელს დაბადებულთა მორიგი გაწვევა. ორჯონიკიძის სახ. რაიონი, რომელიც გასულ წლებში ჯარში გაწვევისათვის მზადების მხრივ შედარებით ჩამორჩენილი იყო, წელს პირველი მებრძოლია ყველა რაიონთან პირველობის მიღებისთვის.

ამ რაიონის ინიციატივით 2 ნოემბერს მოხდა უკვე წითელ ჯარში ჩარიცხულ ახალწვეულთა საზეიმო გაცილება.

დილის 12 საათისათვის ლოზუნგებით და ყვავილებით მორთული ავტოები, რომლებშიც ახალწვეულები ისხდნენ რაიონული საბჭოდან დაიძრნენ ტფილისის სამხედრო კომისარიატის შესაკრებ პუნქტისკენ. იქ მათ დაუხვდნენ სხვა ახალწვეულები, რომლებსაც გამოსაცილებლად მოჰყოლიათ ნათესავები, ამხანაგები და მეგობრები, მათში სიმხიარულეა, ჯგუფ-ჯგუფად არიან თავმოყრილი, ზოგი ცეკვავს, იმღერის გარმონზე, მანდოლინას უკრავს და სხვა.

სახელდახელო მიტინგი გახსნა ტფილისის სამხედრო კომისარმა ამხ. შონიამ. მისალმებებით გამოვიდნენ ავეჯეულობის და აბრეშუმის ქარხნის მუშები, ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს წარმომადგენელი ამხ. კალანდაძე და ახალწვეულები. ახალწვეულები—ზლოვი, კოდუა, და სხვანი, ფიცს სდებენ, რომ საბრძოლო ცოდნით შეიარაღებული დაბრუნდებიან. მიტინგის დამთავრების შემდეგ ჯარის ნაწილების წარმომადგენლები არჩევენ თავიანთ ნაწილებში ჩარიცხულ წითელარმიელებს და გუნდებად სხამენ ავტოებში; იძვრის ავტოები, ისმის ახალწვეულების უკანასკნელი „ვაშა"! და გასაცილებლად მოსული მუშების შეძახილი. გზაში იგივე სიმხიარულე, სიმღერა.

ნაწილებში მისვლისას რაიონის საბჭოს წარმომადგენლები და სამხედრო კომისარი ამხ. შონია აბარებს ახალწვეულებს. უკანასკნელი ავტო დაიძრა სადგურისაკენ. ეს ის ახალწვეულები არიან, რომლებიც ჩარიცხული არიან ა.-კ. სხვადასხვა ქალაქთა ჯარის ნაწილებში. მათ კომისარი ამარაგებს საჭირო სურსათით და მერე მათ სხამენ სპეციალურად გამოყოფილ ვაგონში. სადგურის ბაქანზე სიმღერა შეწყდა და მატარებლის გასვლის შემდეგ ახალწვეულები ვაგონიდან ემშვიდობებოდნენ გასაცილებლად მოსულებს.

ქ. შ.

ა. დავთიანი

ა.-კ. ქვეითი სკოლის უფროსის მოადგილე პოლიტიკურ დარგში

ოქტომბრის რევოლუციის ლეიტენანტები

ამიერ-კავკასიის ბაქოს 26 კომისრის სახელობის ქვეითი ჯარის სკოლა დღეს უშვებს მეთაურთა—წითელ ლეიტენანტთა ახალ რაზმს.

სკოლა ამიერ-კავკასიის ფედერაციის, ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციის პირმშოა.

ქვეითი ჯარის ამიერ-კავკასიის ერთიანი სკოლის არსებობის 8 წლის მანძილზე ამ ინტერნაციონალური სამჭედლოს კედლებიდან ათობით და ასობით არიან გამოშვებული მეთაურები, პოლიტმუშაკები, თავისი მუშაობით ნაწილებში მათ გვიჩვენეს და ახლაც გვიჩვენებენ ჩვენი ნაწილების პოლიტიკური აღზრდისა და საბრძოლო მომზადების ნიმუშებს. ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის საშუალო და უფროს მეთაურთა შემადგენლობის ძირითადმა კადრებმა, თითქმის ყველამ, ეს სკოლა გაიარეს და, აი, დღეს ასეთივე რაზმი გამოდის სკოლის კედლებიდან და ემატება მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილებს.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაციონალური ნაწილებისათვის მეთაურთა და პოლიტიკურ კადრების მომზადება ყოველთვის იყო მიქცეული ხელმძღვანელი საარმიო ორგანოებისა და ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში. ჯერ კიდევ 1921 წელს ამხ. სერგო ორჯონიკიძისადმი მიწერილ წერილში ვლადიმერ ილიჩი სწერდა:

„...საქმით, რადაც უნდა დაჯდეს, დაუყოვნებლივ განავითარეთ და გააძლიერეთ საქართველოს წითელი არმია. დაე დასაწყისისათვის იყოს 1 ბრიგადა. დე ნაკლებიც კი, 2—3 ათასი კურსანტი, მათგან ათასნახევარი კომუნისტი, რომ ამ კურსანტებს შეეძლოთ (როცა ისინი კადრები იქნებიან), გაიშალონ არმიად, როცა საჭირო გახდება. ეს აბსოლუტურად აუცილებელია. სტალინმა, იქნებ უფრო დაწვრილებით გადაგცეთ შესრულების სამხედრო-ტექნიკური საშუალებები".

ლენინის ბარათს ამხ. სტალინმა მიუმატა შემდეგი:

„არაფერი მაქვს დასამატებელი ამხ. ლენინის ნათქვამისათვის. სერგო და საქართველოს კომპარტიის ც. კ-ი, ვფიქრობ, მიხვდებიან ამხ. ლენინის მიერ წამოყენებული ზომის მთელ აუცილებლობას. რაც შეეხება საქმის სამხედრო-ტექნიკურ მხარეს, ამას თქვენ უკეთ იცნობთ, ვიდრე მე და დანარჩენი მოსკოველები".

ლენინისა და სტალინის ამ მითითებათა განსახორციელებლად, საქართველოს საბჭოების პირველ ყრილობაზე (1922 წელს) სპეციალურად მიღებულ მიმართვაში წითელარმიისადმი ნათქვამი იყო: „ქვეყნის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არმიის მეთაურთა შემადგენლობის მომზადებას მუშებისა და გლეხებისაგან".

ეს იყო 1921—22 წლებში, როცა მხოლოდ საძირკველი ეყრებოდა ნაციონალურ ნაწილებს, როცა ჩვენ არ გვყავდა საკუთარი, ნამდვილად ხალხური, მუშებისა და გლეხებისაგან შემდგარი მეთაურთა და პოლიტიკური კადრები. ეს იყო დრო, როცა ლაპარაკობდნენ ნაციონალურ ერთეულთა და მათ მეთაურთა თუ პოლიტიკური კადრების ერთგვარ ჩამორჩენაზე მოწინავე მოძმე სანომრო ნაწილებისა და დივიზიების დონისაგან. ახლა ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ყველა ნაწილი და შენაერთი, მათ შორის ქვეითი ჯარის ამიერ-კავკასიის სკოლა, თავისი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების დონის მხრივ გაუთანასწორდა ჩვენი წითელი არმიის მოწინავე ნაწილებს. პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ნაციონალური შენაერთების მათი, როგორც მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძირითადი ნაწილების ზრდასა და განმტკიცებას.

ერთიან, შეწყობილ ინტერნაციონალურ ოჯახში სამი წლის მანძილზე სწავლობდნენ და იზრდებოდნენ დედაენაზე და რუსულ ენაზე 18 ეროვნების კურსანტები—ქართველები, თურქები, სომხები, აჭარლები, აფხაზები, ოსები, სვანები, თალიშები, ქურთები, ბერძნები, უკრაინელები, ბელორუსები და სხვ.

ამხ. დავთიანი

ინტერნაციონალურმა შეკავშირებამ კიდევ უფრო გააკაჟა ისინი, შეადუღა ერთ კოლექტივად, გახადა ჩვენი დიდი სამშობლოს ერთგულ შვილებად.

წითელი არმიის მეთაურთა კადრების პრობლემა ყოველთვის იდგა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის და პარტიის ბელადის ამხ. სტალინის ყურადღების ცენტრში. ჩვენი სკოლის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობა, პოლიტაპარატი და პარტიული ორგანიზაცია სამეთაურო-პოლიტიკური კადრების აღზრდისა და გამოზრდისათვის გაწეულ მუშაობაში ეყრდნობოდნენ ჩვენი პარტიის, ამხ. სტალინის მითითებებს, დღითიდღე ასრულებდნენ იმ კონკრეტულ ამოცანებს, რომლებსაც არმიის ხელმძღვანელი ორგანოები თავის ბრძანებებში გვიყენებდნენ.

წლითიწლობით იცვლება კურსანტის სახე, როგორც სოციალური, ისე სამხედრო-ტექნიკური მომზადების თვალსაზრისით. აი რამდენიმე ციფრი, რომლებიც ახასიათებენ ახლანდელი მე-8 გამოშვების სახეს: მუშა—42 პროცენტი, კოლმეურნე 44 პროცენტი, პარტიის წევრი — 88,5 პროცენტი, კომკავშირის წევრი 11 პროცენტი. წარმატება სამხედრო-ტექნიკურ და სოციალურ-ეკონომიურ საგნებში კარგია.

ფრიადოსანნი საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში არიან:

ამხ. დაბალიანი—ყველა საგანში უმაღლესი შეფასება აქვს. ლენინაკანის საფეიქრო ფაბრიკის მუშა. სკოლაში შემოვიდა უშუალოდ წარმოებიდან. იყო ერთერთი საუკეთესო კურსანტი. სკოლა'

ამხ. ბუბნოვი—ერთერთი საუკეთესო კურსანტი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში. ორი წლის განმავლობაში იყო ასეულის პარტიული ორგანიზატორი. აქტიური სამხედრო; ყველა სახის იარაღის ფრიადოსანი მსროლელი; საუკეთესო ფიზკულტურელი და მებრძოლი; მასობრივი სამხედრო მუშაობის კარგი ორგანიზატორი.

ამხ. ფერაძე—ასეულის პარტიული ორგანიზატორი. ყველა საგანში აქვს უმაღლესი შეფასება. საუკეთესო მებრძოლი და ფიზკულტურელი. არაერთხელ ყოფილა დაჯილდოებული, როგორც საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების მოწინავე. ასეთი მოწინავენი ცოტანი როდი არიან გამოსაშვებ კურსანტებს შორის.

სამხედრო-პოლიტიკური და სამხედრო-ტექნიკური საგნების შესწავლასთან ერთად, გამოსაშვები კურსანტები დიდ ინტერესს იჩენდნენ სამხატვრო ლიტერატურისადმი.

სკოლის პოლიტაპარატმა და პარტორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს კურსანტების ცოდნის ამაღლებას სოციალურ-ეკონომიურ დისციპლინებში, განსაკუთრებით პარტიის ისტორიაში. პარტიული განათლების სისტემაში და ცალკეული საუბრების დროს პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, პარტაქტივის თათბირებზე, [illegible] მეცადინეობის დროს, — ყველგან პარტიის ისტორიის საკითხები გამოსაშვებ კურსანტთა ყურადღების ცენტრში იდგა. თუ პარტიის ისტორიას ღრმად არ იცნობ, ისე გაგიძნელდება ნაწილებში მუშაობა, პოლიტიკური მეცადინეობა, პოლიტიკური მუშაობა წითელარმიელთა შორის. სერიოზული ყურადღება ჰქონდა მიქცეული იმას, რომ შეგვემუშავებინა ამხ. ბერიას მოხსენება „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის". არ არის არცერთი კურსანტი, რომელსაც ამხ. ბერიას მოხსენება არ დაემუშავებინოს. ყველა ძალა და საშუალება მობილიზებულ იქნა ჩვენი პარტიის ისტორიისათვის ამ ისტორიული დოკუმენტის შესასწავლად. ყველა გამოსაშვებმა კურსანტმა პირადად შეიძინა ამხ. ბერიას წიგნი. ისინი დამოუკიდებლად სისტემატურად ამუშავებდნენ მას გამოშვებამდე.

ლაბორატორიებშიც, ტირზეც, სასროლო მოედანზეც, ფიზკულტურულ ქალაქშიც, ტექნიკურ კაბინეტებშიც, ბუნების წიაღშიც, სხვადასხვა რელიეფზე, ტაქტიკური მეცადინეობის დროს,—ყველგან მზადდებოდა და ყალიბდებოდა დღევანდელი იუბილიარი—წითელი ლეიტენანტი.

ჩვენ მიერ გაწეული მუშაობა მაინც საკმარისი არ არის გამოშვებული კურსანტისათვის დღევანდელი მეთაურისათვის. გამოშვებული კურსანტის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შეასრულოს ამხ. სტალინის მითითებანი—სკოლის გათავების შემდეგ სისტემატურად იმეცადინოს საკუთარ თავზე გაადიდოს, გააძლიეროს თავისი ცოდნა, გააფართოვოს ჰორიზონტი, იყოს თავისი ქვედანაყოფის ნამდვილი პოლიტიკური აღმზრდელი და ფრიადოსანი მეთაური.

გამოსაშვებ კურსანტებს—მეთაურებს უნდა ახსოვდეთ ამხ. სტალინის მიერ წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე 1935 წლის 4 მაისს წარმოთქმული სიტყვები.

„ამხანაგებო! თქვენ დაასრულეთ უმაღლესი სკოლა, და აი იქ პირველი გამობრძმედა მიიღეთ. მაგრამ სკოლა ეს მხოლოდ მოსამზადებელი საფეხურია. კადრების ნამდვილი გამობრძმედა ხდება ცოცხალი მუშაობის დროს, სკოლის გარეთ, სიძნელეებთან ბრძოლაში, სიძნელეთა დაძლევაში. გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ მხოლოდ ის კადრებია არიან კარგნი, რომლებსაც სიძნელეების არ ეშინიათ, რომლებიც სიძნელეებს კი არ ემალებიან, არამედ, პირიქით, მათ თვალს უსწორებენ, რათა ისინი დასძლიონ და მოსპონ. მხოლოდ სიძნელეებთან ბრძოლაში იჭედებიან ნამდვილი კადრები. ხოლო თუ ჩვენს არმიას საკმაო რაოდენობით ეყოლება ნამდვილად გამობრძმედილი კადრები, იგი უძლეველი იქნება".

ჩვენი საყვარელი ბელადის ეს ისტორიული მითითებანი წითელმა ლეიტენანტებმა პირნათლად უნდა შეასრულონ.

◆

გრიგოლ აროსია

წითელ პარტიზანის სიმღერა

1.

ამ ღამით ეგებ კლდეზე გადვიჩეხო,
ჩემი შაშხანით და რევოლვერიანად.
ლოდებს ბზარავს ჩემი რევოლვერის ეხო
ძმების დასაცავად ღამე უნდა ვტეხო,
რომ მოვარდნილ მტერმა ცოცხლად ვერ იაროს.

2.

იმათ დამიხვრიტეს ჩემი ტურფა ცხენი,
როს მივაჭენებდი უმალ ჩაიკეცა.
იმ საზიზღარ თეთრებს სისხლი სურდათ ჩვენი,
მაგრამ შლეგიანი გაუთენდათ დღენი,
როს აინთო ცეცხლად ჩემი ქვეყნის ზეცა

3.

სისხლით განაბანი თვლემდა პურის ყანა,
უკან ვსდევდი ლტოლვილს ნაცად კარაბინით.
მისი ხელთ ჩაგდება მეთაურმა ბრძანა.
ბევრჯერ მოვისმინე ტყვიამფრქვევის ნანა
ცოლშვილ ამოხოცილს ტყეში მქონდა ბინა.

4.

ახლა როცა მხარე საუცხოოდ ბრწყინავს,
როცა შრომის ჰანგებს თავისუფლად ვმღერით,
როცა არ შხაპუნობს ცხელ ტყვიების წვიმა
თუ ცა მოიღრუბლა, თუ დაიწყო წვიმა
ცეცხლად ავინთები, რომ დავფერფლო მტერი.

□ □

სახელმძღვანელოების გამოცემა ვადაზე უნდა დამთავრდეს

იმ 56 სახელმძღვანელოდან, რომელიც მიმდინარე წლის 25 დეკემბრამდე უნდა გამოიცეს, დაბეჭდილია 26 სახელწოდება, ბაზარზე გატანილია 21 სახელმძღვანელო.

პირობები, რომელნიც აბრკოლებდნენ სახელმძღვანელოების დროულად გამოშვებას, ჯერ კიდევ არ არის დაძლეული. ამის გამო სტამბები ვერ ახერხებენ დავალების მთლიანად შესრულებას.

იმ სტამბებიდან, სადაც სახელმძღვანელოების დამატებითი ტირაჟი იბეჭდება, დავალება ყველაზე ადრე სახელგამის მე-2 სტამბამ შეასრულა. მან 21 ოქტომბრამდე შესძლო მისთვის გადაცემული ოთხივე სახელმძღვანელოს დაბეჭდვა. სტამბის გამარჯვება შედეგია სტამბის ხელმძღვანელთა უნარიანობისა და მუშაობის იმ მეთოდისა, რომელიც მათ სახელმძღვანელოების ბეჭდვაში გამოიყენეს.

მუშაობის ეს წესი სხვა სტამბებმაც უნდა გამოიყენონ.

სხვა დამაბრკოლებელ პირობებთან ერთად სტამბებს ხელს უშლიდა დამხმარე მასალების ნაკლებობა. საქმე ის არის, რომ სახელმძღვანელოებისათვის ყოველგვარი მასალის საკმაო ფონდი სადირექტივო ორგანოებმა თავის დროზე გამოჰყვეს, მაგრამ დღემდე ვერ შევძელით ამ ფონდების განაღდება და სტამბებისათვის თავის დროზე მიწოდება. ამ მხრივ დიდი დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა გამოიჩინა სახელგამის წარმომადგენელმა მოსკოვში კაჩეროვსკიმ. მან არ მიიღო ზომები, რომ ქარხნებიდან დროზე მიეღო და გადმოეგზავნა სახელგამისათვის საჭირო მასალები. მაგალითად, წებო მან მხოლოდ 2 ოქტომბერს გადმოგზავნა, ისიც ნელი სისწრაფით, კალენკორის გადმოგზავნა კი 23 ოქტომბრამდე ვერ შესძლო. ამიტომ კალენკორის მიღება ტფილისში მოსალოდნელია მხოლოდ ნოემბრის ბოლოსათვის.

სამი ტონა მავთულიდან, რომელიც სახელგამისათვის ზაპოროჟიეს ქარხანას უნდა დაემზადებინა, 27 ოქტომბერს სახელგამმა მიიღო მხოლოდ 470 კილოგრამი, მაგრამ ისიც ისეთი ხარისხის, რომ ჩვენს წარმოებას არ გამოადგება. აი ასეთია სახელგამის წარმომადგენლის კაჩეროვსკის „ოპერატიული" მუშაობის შედეგი მოსკოვში; უფრო უარესია მისი მუშაობა მოსკოვს გარეთ. ოდესის მავთულის ქარხნის მიერ საქართველოსთვის დამზადებული სამი ტონა მავთული კაჩეროვსკის მიმდინარე წლის მესამე კვარტალში უნდა გადმოეგზავნა. მავთულის მისაღებად იგი ივლისში სპეციალური დავალებით მივლინებულ იქნა ოდესაში, მაგრამ არაფერი გაუკეთებია, არხეინად დაბრუნდა მოსკოვში; მავთული დღესაც არ არის მიღებული.

სტამბების მუშაობას არა ნაკლებ აფერხებს ზოგიერთი ავტორის, მთარგმნელისა და რედაქტორის გულგრილი დამოკიდებულება სახელმძღვანელოების გამოცემისადმი. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ სამწუხარო ფაქტს. ძიძიგურის ქართული ენის სახელმძღვანელოს (პირველი კლასისათვის) დედანი სახელგამის მეორე სტამბას გადაეცა 2 ოქტომბერს. სტამბამ დაკვრითი წესით ააწყო ეს სახელმძღვანელო, სახელგამმა სტამბას გადაუგზავნა ქაღალდი, კარტონი და სხვა საჭირო მასალა. წიგნი თითქოს გამზადებული იყო დასაბეჭდად და მანქანაზე უნდა გაეშვათ, მაგრამ ავტორმა და რედაქტორმა (ამხ. თოფურია) ანაბეჭდი გადასახედად მოითხოვეს. მათ ფორმები გადაეცათ ხუთი დღის წინათ, მაგრამ დღემდე არ დაუბრუნებიათ. გამოირკვა, რომ რედაქტორი ქალაქგარეთ გამგზავრებულა და თან წაუღია ანაბეჭდი „გადასახედად". თავისთავად ცხადია, თუ რედაქტორი ერთი ფორმის გადახედვას რამდენიმე დღეს ვერ ახერხებს და ამით ხელს უშლის სტამბის მუშაობას, სტამბა აღნიშნული სახელმძღვანელოს (70,000 ტირაჟი) გამოცემას თავის დროზე ვერ შესძლებს.

მთელი რიგი სახელმძღვანელოები ითარგმნება რუსული გამოცემებიდან, რომელთა დედანს სათარგმნად სახელგამი დიდი დაგვიანებით ღებულობს. მაგ., ფიზიკის სახელმძღვანელოს (მეათე კლასისათვის) რუსული გამოცემა დასაბეჭდად ხელმოწერილი ყოფილა ორ ივნისს. ამ წიგნის დედანი მხოლოდ ამ დღეებში გადაეცა სტამბას. ასეთი დაგვიანება იმით არის გამოწვეული, რომ მეტისმეტად დაგვიანდა რუსული დედნის მიღება მოსკოვიდან. აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს სათარგმნი დედნების საქმე, რომ მოსკოვიდან წიგნები თავის დროზე იქნას გადმოცემული.

ე. ტოროტაძე.

□ □ □

გ ა კ ვ რ ი თ

ბ-ნ იუსტის მორიგი უსიამოვნება

ბოროტი ენები ამტკიცებენ—მთელი რიგი გერმანული გაზეთების, მათ შორის „დოიჩე ალგემეინე ცაიტუნგის", მოსკოველი კორესპონდენტი არტურ იუსტი ბერლინიდან ყოველდღე ღებულობს ორიგინალურად შეკრულ ამანათს წარწერით: „ფრთხილად, არ დაანთხიოთ".

რასაც ბოროტი ენები ამბობენ, იმას სკეპტიკურად ვუყურებთ. ამიტომაც მათ შევეკითხენით:

— განა რა უნდა გამოიწეროს ხოლმე ჰერმა იუსტმა ბერლინიდან? კარაქი? ძეხვი? ქონი? მგონი, რომ სწორედ ესენი. ბერლინში ეს საგნები არც თუ იმდენად უხვად მოიპოვება. და განა ბევრად უფრო ადვილი არ არის, მოსკოვის მაღაზიაში შევიდეს მათ შესაძენად?

ამაზე ასე გვიპასუხეს:

ჰერ იუსტი ბერლინიდან გესლს იწერს. საკუთარი უკვე აღარ ჰყოფნის, იქ კი გესლი ბლომადაა.

იუსტი რომ გესლს ანთხევს, როცა საბჭოთა სინამდვილეს ხედავს,—ეს ახალი ამბავი არ არის. მას ასეთი პროფესია აქვს—გესლი ანთხიოს.

მაგრამ ცხოვრება საბჭოთა კავშირში წინ მიდის და ახალ-ახალ სიურპრიზებს ამზადებს. სულ უკანასკნელი ლახვარი იუსტს სტახანოვურმა მოძრაობამ ჩასცა—იუსტი გულგატეხილია. იგი თავის კორესპონდენციას სტახანოვზე პირდაპირ ისტერიული ყვირილით იწყებს:

„არა და არა, ლაპარაკი პოლიტიკურ მოღვაწეზე როდია! ამ კაცს სტახანოვს ეძახიან, და სულ ხუთი კვირის წინათ მას არავინ იცნობდა"...

„არავინ"—ესე იგი იუსტი. იგი ახლაც მოხარული იქნება—და არ შეემჩნია სტახანოვური მოძრაობა, დუმილით გვერდი აევლო მისთვის. იუსტი, უეჭველია, კარგად იცნობს ფაშისტური გერმანიის მდგომარეობას, იგი დანამდვილებით იცნობს გერმანელი მუშების სულისკვეთებასაც. როგორ უნდა შეეტყობინოს ფაშისტურ გერმანიას ასეთი აღმავლობა, საწარმოო ძალთა ასეთი აყვავება, როგორიც სტახანოვური მოძრაობაა?

მაგრამ სტახანოვური მოძრაობისათვის დუმილით გვერდის ავლა შეუძლებელია, და ამიტომ ცდილობს იუსტი ცილი მაინც დასწამოს მას. იუსტს არას ადარდებს, რომ იგი კრილოვის იგავის ცნობილ ფინიას მოგვაგონებს.

იუსტი იმდენად აშლილია, რომ გულდამშვიდებით ვერც კი ლაპარაკობს სტახანოვის გარეგნობაზე (მისი პორტრეტი მოთავსებულია კორესპონდენციის გვერდით). სტახანოვი უშნოა! ღიმილიც არ უვარგა! მისი არაფერი მოსწონს იუსტს.

იუსტი იქვე სტყუის—ბარათების გაუქმებასთან დაკავშირებით ფასებმა, ერთიორად, ერთისამად, ერთიხუთად იმატეს(?!) და ცრემლის ნაკადს ღვრის საბჭოთა მუშების, ვითომ, მძიმე ცხოვრების გამო.

მაგრამ როცა მატყუარა იუსტი იფურთხება და ენაცუდობს, იგი ამჟღავნებს თავის შეშფოთებას და იმ ნერვიულობის ნამდვილ მიზეზს, რომელსაც იგი შეუპყრია.

„რაკი,—სწერს იგი,—ვიღაც სტახანოვის სარეკორდო მიღწევებს მნიშვნელობა აქვთ თუგინდ როგორც საზღვრითი შესაძლებლობას, გამოდის, რომ თეორიულად საერთოდ შესაძლებელია ყოველი კაცის და ყოველი ცვლის შრომის ნაყოფიერების აწევა მეურნეობის ყველა დარგში".

დიაღ, იუსტო, შესაძლებელია, და არა მარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც. და ეს არის იმ კითხვის პასუხი, თქვენ რომ ცდილობთ საბჭოთა მუშების ბაგეებს ათქმევინოთ: „რისთვის ვიბრძოდით".

ი. კომპი („პრავდა")

□ □ □

ტფილის-აქსტაფის რკინიგზის უბნის ელექტროფიკაცია

ა.-კ. რკინიგზის ტფილის-აქსტაფის უბანზე სწარმოებს საამშენებლო სამუშაოები. ამ უბნის ელექტროფიკაციისათვის. საელექტროფიკაციო სამუშაოები დაიწყო წელს აგვისტოში. ელექტროფიცირებული უბნის სიგრძე 90 კილომეტრია. პირველ 30 კილომეტრზე სადგურ ნავთლუღიდან სადგურ რუსთავამდე, უკვე დადგმულია საყრდენები. საყრდენების დადგმის დამთავრება დანარჩენ 60 კილომეტრზე გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ბოლოსთვის.

ნავთლუღის წევის ქვესადგურის შენობის აგება დამთავრდა. ამჟამად სწარმოებს აკუმულატორების და მატარებლების გატენა. აქსტაფაში წევის სადგურისათვის შენობის აგება დამთავრებულია 60 პროცენტით.

ტფილის-აქსტაფის რკინიგზის უბნის ელექტროფიკაცია დამთავრდება 1936 წლის ბოლოს.

სანაპირო ხრამის ნაცვლად კრიალა ქუჩა

მოძრაობა გახსნილია!

რა იყო და რა არის? გაკვირვებით კითხულობენ ახლა ტფილისელები, როცა მიდიან სარკესავით გაკრიალებულ, ბაღნარიან, ფართო და ხალისიან ახალ სანაპირო ქუჩაზე.

ჯერ კიდევ ამ სამიოდე წლის წინათ ამ ადგილას ჰყრიდნენ ნაგავს. აშმორებული წყალი სწამლავდა იქაურობას, მწერები, მალარია და სიბინძურე იყო დასადგურებული. მდ. მტკვრის ტოტი, რომელიც ქმნიდა მადათოვის ყოფილ კუნძულს, უფრო აძლიერებდა მალარიის გამომწვევ კოღოებს.

როცა პირველად ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს ამ ქუჩის გაყვანის საკითხი. ზოგი უიმედობას გამოსთქვამდა: ჩვენი ქალაქი ჯერ ისე არ გაზრდილა, რომ ამ მაგისტრალის გაყვანა აუცილებელი იყოს, თანხებსაც ვერ ვიშოვნით, დავიწყებთ, მაგრამ ვერ დავამთავრებთ, გაჭიანურდება საქმე და სჯობია შემდეგი ხუთწლედებისათვის გადავსდოთო.

ტექნიკური შესრულების მხრივაც საძნელო საქმედ იყო აღიარებული ამ ქუჩის გაყვანა: მილიონობით კუბიკური მეტრი მიწის მოტანა და დაყრა, მისი დატკეპნა, შემდეგ ხრეშის დაყრა კიდევ დატკეპნა, დამბის აგება, წყალის გადაშვება მდინარის მეორე მხარისკენ... მაგრამ ეს ყველაფერი წინასწარი სამუშაოები იყო.

საჭირო შეიქმნა ათარიბელი საშენი მასალა, საჭირონი იყვნენ მუშები. ყველა ეს სიძნელე გადალახეს გზის მშენებლობის ხელმძღვანელებმა.

მიდიხარ ახლა ასფალტიან ფართო ქუჩაზე. მტკვრის სანაპიროსაკენ გრანიტის დამბაზე წითელი ქვის მოაჯირი, მოაჯირის გაყოლებით ტროტუარი და შემდეგ ყვავილნარის ფართო ზოლი. ყოფ. ვორონცოვის ხიდისაკენ, იქ სადაც „ანოფელესი" ხარობდა და მრავლდებოდა, მხატვრული გემოვნებით გაშენებული ბაღი, ყოჩაღად მდგარი ნაძვებითა და ფიჭვებით, ფესვმომაგრებული ფოთლოვანი ჯიშებით.

ქალაქის სილამაზე და ქალაქელების სიამაყეა ახლა ახალი სანაპირო ქუჩა. მაგრამ მოითმინეთ—ეს მხოლოდ ნახევარია. მეორე ნახევარის კეთებას ახლა იწყებენ და ნახონ მაშინ ტფილისელებმა მადათოვის ყოფილი კუნძული, როცა, იქ დამთავრდება ახალი სანაპიროს მეორე ნაწილის გაყვანა: ვეებერთელა, თითო თლილი ქვისაგან აგებული ცირკის შენობა, გარშემო საუცხოო ბაღი, გვერდით გაჩირაღდნებული, ასფალტიანი მაგისტრალი და ამ მაგისტრალზე ავტომობილების ქარავანთა შხუილი.

ყოველი ტფილისელისათვის სასიხარულო ამბავია—ახალი სანაპირო ქუჩაზე მოძრაობის გახსნა.

დ. ლომთაძე.

საზეიმო სხდომა

გუშინ, 5 ნოემბერს, საღამოს, ახალი სანაპირო ქუჩის მშენებლობის დამთავრებისა და ამ ქუჩაზე მოძრაობის გახსნის აღსანიშნავად შესდგა ქუჩის მშენებლების — მუშებისა და ინჟინერ ტექნიკოსების საზეიმო სხდომა, რომელიც გახსნა ტფილისის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ. ნიორაძემ.

სხდომის გახსნისას წარმოთქმულ სიტყვაში ამხ. მ. ნიორაძემ აღნიშნა, რომ ოქტომბრის რევოლუციის 18 წლისთავს საბჭოთა საქართველო და, კერძოდ, მისი დედაქალაქი ტფილისი მრავალი მიღწევებით ხვდება. ახალი სანაპირო ქუჩის მშენებლობის დამთავრება ერთერთი თვალსაჩინო მიღწევათაგანია და ამ მიღწევის მოპოვებას უნდა ვუმადლოდეთ ამხ. ლავრენტი ბერიას ყოველდღიურ ხელმძღვანელობას. ამხ. ლავრენტი იყო ამ ქუჩის გაყვანის ინიციატორი და სულისჩამდგმელი. მან გადმოისროლა ლოზუნგი, რომ „გადავაქციოთ ტფილისი სანიმუშოდ კეთილმოწყობილ ქალაქად". ახლა ეს ლოზუნგი შესრულების სტადიაშია და სულ რამდენიმე წელიწადში იგი სავსებით შესრულებული იქნება.

შემდეგ საზეიმო სხდომამ მოისმინა მშენებლობის უფროსის ამხ. ი. შენდეროვის მოხსენება შესრულებულ სამუშაოთა დახასიათებაზე. საზეიმო სხდომაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ მებეტონე მუშებისაგან — ამხ. მ. გრიგორიევი, ინჟინერ - ტექნიკოსებისაგან — ინჟ. პაპუნოვი, დურგლების სახელით — ამხ. აბრამიანი და კაპანაძე, მიწისმთხრელებისაგან — ამხ. ფოსკანიანი, ტექნიკოსი ეფრემიანი, სტახანოველი მუშა — ამხ. კოლობუხოვი და სხ.

მისალმებათა დამთავრების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. გ არუთინოვმა.

— იმ სიხარულს, რომელსაც დღეს ახალი სანაპირო ქუჩის სახელოვანი მშენებლები განიცდიან, — განაცხადა ამხ. არუთინოვმა, — ინაწილებს ტფილისის მთელი მშრომელი მოსახლეობა. ამხანაგო მუშებო და ინჟინერ - ტექნიკოსებო, თქვენ გაიმარჯვეთ და ვადაზე შეასრულეთ პარტიისა და ხელისუფლების დავალება, თქვენ გაიყვანეთ ახალი, მშვენიერი ქუჩა, რომელიც აკავშირებს რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტებს, თქვენ უძღვენით ტფილისის მშრომელებს მშვენიერი საჩუქარი, მაგრამ წინ კიდევ მრავალი პასუხსაგები სამუშაო მოგველით. ახლა ვიწყებთ ამ ქუჩის გაგრძელებას მეორე უბანზე მარქსის ხიდიდან კალიაევის ხიდამდე. შემდეგ მოგვეხდება სამუშაოთა გაგრძელება ელბაქიძის ხიდიდან ჩელუსკინელთა ხიდამდე, ხოლო კიდევ შემდეგ ასეთივე საუცხოვო სანაპირო ქუჩა უნდა გავიყვანოთ მდ. მტკვრის მარცხენა მხარეზეც.

შრომის სოციალისტური მეთოდების გამოყენებით, სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობით და ნამდვილი სტახანოვური მუშაობით თქვენ დღეს სიტყვა მიეცით ტფილისის საბჭოს, რომ კიდევ მეტი წარმატებით შეასრულებთ მის ახალ დავალებებს.

დასასრულ, ამხ. არუთინოვი მიესალმა ქუჩის მშენებლებს ტფილისის ბოლშევიკების სახელით და უსურვა მათ მეტი წარმატებები ახალ სამუშაოთა შესრულებაში.

ამხ. არუთინოვის წინადადებით საზეიმო სხდომამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელს ამხ. ლ. ბერიას და წალკელ კოლმეურნეებს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს სანაპირო ქუჩის გაყვანაში.

სხდომის შემდეგ გაიმართა მუშათა ნადიმი.

ჯილდო 29 ფრიადოსანს

4 ნოემბერს, ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო და დაამტკიცა ახალი სანაპირო ქუჩის მიღების აქტი. ქუჩის გასაყვანად შესრულებულ სამუშაოთა მიმღებ კომისიაში შედიოდნენ— ამხ. ა. ნოვიკოვი, ინჟ. გ. ქავჟაძე, პროფ. კ. ზავრიევი, მშენებლობის უფროსი ინჟ. ი. შენდეროვი, ინჟ. გ. ბეჟანიშვილი, ინჟ. თუმანოვი, შ. კილურაძე, საგზაო ტრესტის მმართველი—ამხ. ნიკოლაიშვილი, ინჟ. გ. რობაქიძე, ტელასის მმართველი—ამხ. სირომფიანი, ორჯონიკიძის რაისაბჭოს თავმჯდომარე—ამხ. გაბარაშვილი, ამხ. სერდიუკოვი, ინჟ. მ. სტეფანოვი და ინჟ. ლ. ჩიჯავაძე.

კომისიამ შეამოწმა ქუჩის ყველა ნაგებობა (დამბა, პარაპეტი, ქუჩის ზედაპირი, მწვანე ნარგავების მდგომარეობა და სხ.) და აღიარა, რომ ქუჩა გაყვანილია პროექტის მიხედვით, ხოლო სამუშაო შესრულებულია სავსებით დამაკმაყოფილებლად.

კომისიამ აღიარა, რომ შესაძლებელია აღნიშნულ ქუჩაზე ყოველგვარი ტრანსპორტის მოძრაობის დაწყება, სისწრაფის განუსაზღვრელად.

კომისიის მიერ ქუჩის მისაღები აქტის დამტკიცების შემდეგ, ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა მშენებლობაში დაწინაურებულების დაჯილდოვება.

ახალი სანაპირო ქუჩის მშენებლობის ვადაზე და წარმატებით დამთავრებისათვის, ცალკე სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულებისა და საერთოდ, თავდადებული, დამკვრელური მუშაობისათვის ტფილისის საბჭომ დააჯილდოვა:

სამუშაოთა უფროსი, ინჟ. ი. შენდეროვი, მადლობის გამოცხადებით და ძვირფასი საჩუქრით; უფროსი ინჟინერი— ლ. ჩიჯავაძეს—გამოეცხადა მადლობა და მიეცა ერთი თვის ხელფასი. თითო თვის ხელფასით დააჯილდოვეს—მებეტონე — ბრიგადირი — ამხ. ემელიან გრიგორიევი, მებეტონე ფრიადოსანი— ამხ. სერგეი კოლობუხოვი, მეურმეთა ბრიგადირი — კოლმეურ. ვ. შოშიაშვილი (მიეცა ჯილდოდ პატეფონი), მიწისმთხრელთა ბრიგადირი— ამხ. თ. მურადოვი, ათისთავი—ამხ. ი. რჩეულიშვილი, მეშტუკატურეების ბრიგადირი — ამხ. ი. საფრონოვი (მიეცა ჯილდოდ პატეფონი), მიწის მთხრელი მუშები—ამხ. გ. მიკირტიჩიანი და ან. ჯაგანიანი, დურგლები— ამხ. მიხ. ოსტახოვი და გაბრიელ ხრამჩენკო, ინჟინრები—ამხ. გ. ეფრემიანი, დადიანი და გ. პაპუნოვი. მომარაგების მუშაკი—ამხ. ჩიხლაძე, გამწვანების სამუშაოთა შემსრულებელი ინჟინერი—ამხ. ს. ქარუმიძე, ნარგავთა მომრწყველი მუშა— ამხ. თომა გიორგობიანი (თვენახევრის ხელფასით) და ბრიგადირი ამხ. ივ. ტელეგანოვი (თვენახევრის ხელფასით).

ამასთანავე ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმმა განსაკუთრებულად აღნიშნა ის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, რომელთაც მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით ქუჩის გაყვანაში. ესენი არიან — მშენებლობის პარტკომის მდივანი — ამხ. კირაკოზოვი, ათისთავი ამხ.—ი. ჩიხლაძე, მებეტონე—ვ. ბრიზგალოვი, მიწისმთხრელი—ტატო პარკაული, დურგალი—ვ. პრუდნიკოვი, პირადი მაგიდის გამგე—ამხ. ვერა ბერიძე, ინჟინერი—კონსტ. პავლოვი, ზეინკალი — სოლომონ სტეფანიანი, ტრანსპორტის მუშა — სოლ. როზინოვი, და ბუხჰალტერი —ამხ. შ. კალანთაროვი.

ვაჟა-ფშაველას დეკადა ხარაგაულში

ქართული კლასიკური ლიტერატურის მასობრივი პროპაგანდის მიზნით, დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ხარაგაულის რაიკომმა და განათლების განყოფილებამ ხარაგაულის საშუალო სკოლებში 20-დან 30 ოქტომბრამდე ჩაატარეს ვაჟა-ფშაველას დეკადა, მისი გარდაცვალებიდან ოცი წლისთავის აღსანიშნავად.

დეკადასთან დაკავშირებით მწერალთა კავშირმა მოავლინა მწერლების ბრიგადა ალიო არსენიშვილისა და ვასო გორგაძის შემადგენლობით.

31 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე კავშირის რაიკომისა და განათლების განყოფილების ინიციატივით მოეწყო რაიონის მასწავლებელთა და კულტაქტივის შეხვედრა მწერლებთან. შეხვედრა დაუკავშირდა ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 20 წლისთავისათვის მიძღვნილ საღამოს. დაწ. და საშ. სკოლების მუშ. კავშირის რაიკომის თავმჯდომარის ამხ. დ. კალანდაძის შესავალი სიტყვის შემდეგ საღამოზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ალიო არსენიშვილი, რომელმაც ხაზი გაუსვა კულტურული მემკვიდრეობის კრიტიკულად შესწავლის აუცილებლობას და ვაჟა-ფშაველას პოეზიის მნიშვნელობას ახალი ლიტერატურის განვითარებაში.

არსენიშვილის მოხსენების შემდეგ სიტყვით გამოვიდა პოეტი ვასო გორგაძე, რომელმაც აღნიშნა ზოგიერთი საინტერესო ეპიზოდი აკაკისა და ვაჟას ცხოვრებიდან. ამხ. გორგაძემ წარმოსთქვა ვაჟასადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები და აგრეთვე წაიკითხა ვაჟას რჩეული ლექსები.

ოქტომბრის ტოლნი

ტფ. აბრეშუმის ფაბრიკის მქსოველი—კომკავშირელები — მარცხნიდან მარჯვნივ: ამხ. ბანლოვა, აბაშენაშვილი, ზაქარეიშვილი, ბურდული და ფალავანდიშვილი (ზევით).

ოქტომბრის ზეიმის წინ

მოდიან დელეგაციები

დღეს, საღამოს ტფილისში მოელიან ბაქოს ნავთის სარეწაოების სტახანოველ მუშათა დელეგაციას 5 კაცის შემადგენლობით. ერევნიდან მოელიან მეორე დელეგაციას 3 კაცისაგან.

გუშინ ტფილისიდან ბაქოში გაემგზავრა ტფილისის საწარმოთა ფრიადოსანი მუშების 5 დელეგატი. ერევანში გაემგზავრა სამი დელეგატი.

დელეგაციები მონაწილეობას მიიღებენ საზეიმო დემონსტრაციებში.

იხსნება მოძრაობა კალიაევის აღმართზე

დღეს, 6 ნოემბერს მოხდება კალიაევის აღმართის საზეიმო გახსნა. ქალაქის ამ ერთერთი მთავარი მაგისტრალის გახსნის აღსანიშნავად, მოწვეულია აღმართის გაფართოების სამუშაოთა შემსრულებელი მუშებისა და ინჟინერ - ტექნიკოსების საზეიმო სხდომა, რომელიც შესდგება შუადღის 12 საათზე საზაფხულო კინოთეატრში (შაუმიანის, ყოფ. კახეთის, მოედანთან).

ტფილისის საბჭოს მიმღებმა კომისიამ მუშაობა გუშინ დაამთავრა.

მორიგეობა ტფილისის საბჭოში

ოქტომბრის რევოლუციის 18 წლისთავის ზეიმის დღეებში ტფილისის საბჭოში იქნება საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა განუწყვეტელი მორიგეობა.

განუწყვეტლივ იმორიგევებენ აგრეთვე რაისაბჭოებშიაც.

ახალი თეატრის გახსნა

დღეს, საღამოს შესდგება 26 კომუნარის სახელობის ახალი სათეატრო შენობის საზეიმო გახსნა. გახსნაზე დასასწრებად მოწვეული არიან კალიაევის აღმართის მშენებლები, ტფილისის საწარმოთა ფრიადოსნები, ხელოვნების მუშაკები და პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გახსნის შემდეგ, თეატრი გადაეცემა განათლების სახალხო კომისარიატს.

გამოფენები ოქტომბრის დღეებში

ოქტომბრის ზეიმის დღეებში საქ. მუზეუმის შენობაში გაიხსნება დიდი არქეოლოგიური გამოფენა, მიძღვნილი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებისადმი ისტორიამდელ პერიოდში გვაროვნული საზოგადოების აღმოცენებამდე და, განმტკიცებამდე. გამოფენაზე ცენტრალური ადგილი დათმობილი აქვს ქვის საუკუნის ადამიანის დიდ გამოქვაბულს, რომელიც წარმოადგენს ჭიათურის რაიონში სამეცნიერო ექსპედიციის მიერ აღმოჩენილ ცნობილ დევისხვრელის გამოქვაბულის ასლს.

გამოქვაბულში მოთავსებული იქნება ქვის ხანის ადამიანების სკულპტურული გამოსახულებანი, მათი სანადირო იარაღი და საოჯახო ნივთები.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება აგრეთვე საინტერესო ექსპონატები, რომლებიც ახასიათებენ საგვარეულო საზოგადოებას და სხვ.

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის სურათების გალერეაში 7 ნოემბერს გაიხსნება ოქტომბრის რევოლუციის მე-18 წლისთავისათვის მიძღვნილი **სამხატვრო გამოფენა.**

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება საქართველოს მხატვრების 200-დე სურათი.

10.200 მანეთი ჯილდოდ

ტფილისის მაუდის ფაბრიკის დირექციამ გადასცა 10.200 მანეთი 50 წარჩინებული დამკვრელის, მათ შორის 14 სტახანოველ-ვინოგრადოველის დასაჯილდოვებლად.

6 ნოემბერს ფაბრიკის მუშები და მუშა-ქალები აბარებენ სახ. ტექნიკურ გამოცდას.

გადადებულია სახსრები მუშათა, მათ შორის 5 სტახანოველ - ვინოგრადოველის ბინების შესაკეთებლად.

დაიწყო მუშათა საერთო საცხოვრებლის შეკეთება. შეაკეთებენ 50 ოთახს.

ზეიმისთვის მზადება ქუთაისში

ქუთაისი. (საკ. კორ.) ოქტომბრის რევოლუციის 18 წლისთავის აღსანიშნავად ქუთაისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილება ხსნის ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკურ დისპანსერს, სამ ადგილას აწყობს სასწრაფო დახმარების პუნქტს და ქალაქის ბაღში ხსნის საბავშვო კუთხეს.

ფიზკულტურის ქუთაისის საბჭო 6 ნოემბერს აწყობს ფიზკულტურელთა გამოსვლას. საზეიმო ალლუმზე გამოვა 7500 ფიზკულტურელი.

18 წლის თავთან დაკავშირებით საკონსერვო ქარხნის დირექციამ დამკვრელი მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების დასაჯილდოებლად გამოჰყო 6.000 მანეთი.

პროფ. პანტელეიმონ ნაგორნი



3 ნოემბერს გარდაიცვალა პროფესორი **პანტელეიმონ ივანეს-ძე ნაგორნი,** მცენარეთა დაცვის გამოჩენილი მოღვაწე და ცნობილი მეცნიერი ფიტოპათოლოგი.

წელს შესრულდა მისი სამეცნიერო მუშაობის 25 წელი. 1916 წლიდან ის მუშაობდა საქართველოს და ა.-კავკასიის პირობებში (მავნებლებთან მებრძოლი ბიურო, ტფილისის ბოტანიკური ბაღი, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი და სხვ.). მისი მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის შედეგები გამოქვეყნებულია მის მრავალრიცხოვან (80-მდე მეტ) შრომებში. მისმა მონოგრაფიამ „კავკასიის ვაზის მიკოფლორა" (1930 წ.) ნაგორნი ჩააყენა არა მარტო ჩვენი, არამედ ევროპის სპეციალისტების—ფიტოპათოლოგების პირველ რიგებში.

თავისი მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში ნაგორნი სწავლობდა მნიშვნელოვანი კულტურების (ჩაი, ციტრუსები) დაავადებას, რის შედეგადაც მან დასწერა მონოგრაფია ჩაის ავადმყოფობაზე და დიდი გამოკვლევა ციტრუსების ავადმყოფობაზე. მისი კვლევითი მუშაობის შედეგები საფუძვლად დაედო სხვადასხვა სერიოზული ავადმყოფობისაგან ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების დაცვის ორგანიზაციას.

პროფესორი ნაგორნი არა მარტო ვაზისა არამედ ჩაის, ციტრუსების და სამხრეთისა და სუბტროპიკულ სხვა მცენარეთა ავადმყოფობების თითქმის ერთად ერთი ავტორიტეტი იყო საბჭოთა კავშირში.

მეცნიერულ კვლევით მოღვაწეობას. თან ერთად პროფესორი ნაგორნი ეწეოდა ინტენსიურ პედაგოგიურ მუშაობას —ის ასწავლიდა საქ. სას.-სამ. ინსტიტუტში, აგრეთვე თავის ცოდნას და გამოცდილებას უზიარებდა თავის უშუალო თანამშრომლებს. მისი მოწაფეები გაფანტულია მთელ კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში, ბევრი მათგანი მეცნიერი და პედაგოგიური მუშაკია.

პროფესორ ნაგორნის დიდი დამსახურება მიუძღვის მცენარეთა დაცვის საქმეში: ცნობილ ენტომოლოგ უვაროვთან ერთად ის არის საქ-ში მცენარეთა დაცვის საქმის შემქმნელი (მცენარეთა მავნებლებისა და ავადმყოფობის წინააღმდეგ მებრძოლი ბიურო, მცენარეთა დაცვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, სადაც ის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა; რაიონებში საცდელ სადგურებთან მცენარეთა დაცვის განყოფილებები მისი დაარსებულია).

სამეცნიერო დარგში დიდ ერუდიციასთან და პრაქტიკულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში დიდ ენერგიასთან ერთად პროფესორ ნაგორნის ახასიათებდა თავისი თანამშრომლებისადმი ამხანაგური დამოკიდებულება და თბილი გრძნობიერი მოპყრობა მოწაფეებისადმი.

ყველასაგან, ვისაც მას იცნობდა, მან დაიმსახურა დიდი ავტორიტეტი, სიყვარული და პოპულარობა.

ვგლოვობთ პროფესორ ნაგორნის უდროოდ გარდაცვალებას.

ლ. ლეჟავა, პროფ. ხაჟაპურიძე, პროფ. ზაიცევი, პროფ. კალანდაძე, პროფ. სასნოვსკი, პროფ. ლომოური, დოც. ყანჩაველი, ბათიაშვილი, ერისთავი, წერეთელი, ვარდოსანიძე, ისარლიშვილი, ქარუმიძე, ხაზარაძე, გ. რცხილაძე.

სპორტი

შეჯიბრებები ოქტომბრის დღესასწაულებზე.

8 და 9 ნოემბერს ლენინის სახელობის სტადიონზე გაგრძელდება კალენდარული შეჯიბრებები ფეხბურთის საშემოდგომო პირველობაზე.

8 ნოემბერს თამაშობენ ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის და „სპარტაკის" პირველი გუნდები, ხოლო 9 ნოემბერს—ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის და ა.-კ. სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის გუნდები.

დასაწყისი დღის 4 საათზე. პირველ მატჩს სჯის ამხ. ორეხოვი, მეორეს — იოსავა.

o

აფხაზეთის ფიზკულტურის საბჭომ ოქტომბრის დღესასწაულებზე სოხუმში მიიწვია ტფილისის „დინამო" და პროფკავშირების ნაკრები გუნდი.

ნაკრებში შევიდნენ შემდეგი მოთამაშეები: სოლომონი, ჭუმბურიძე, აფანასიევი, რამიშვილი, ნ. ჩხატარაშვილი, ჯორბენაძე, ფერიდონიძე, ახმეტელი, შ. ჩხატარაშვილი, ჯაჯელავა და ლოლაძე.

ქრონიკა

საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის გამოფენა

6 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში (კეცხოველის ქ. 5), გაიხსნება საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის მუდმივი გამოფენა. გამოფენის გახსნაზე მოწვეულია პარტიული, საბჭოთა, პროფორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე სამეცნიერო და ლიტერატურული მუშაკები.

შემთხვევები

# ქურდობა. 4 ნოემბერს ღამით გაქურდეს მოქ. ი. ა. მჭედლიშვილის ბინა (ცისარტყელას ქ. 8), საიდანაც მოიპარეს ძვირფასი საოჯახო ნივთები. მილიციის მიერ მიღებული ზომებით იმავე ღამეს გამოირკვა, რომ ქურდობა ჩაიდინა 18 წლის გ. ა. ხაჩანელმა (საბჭოს ქ. 120) დაზარალებულის 17 წლის შვილთან გ. ი. მჭედლიშვილთან ერთად. ნაქურდალი ნივთები აღმოაჩინეს ქურდების ხელისშემწყობ და მიმფარველ ა. დ. ზაქარიაშვილის ბინაზე (წიწამურის ქ. 35). ყველა ბოროტმოქმედი შეიპყრეს. ნივთები მთლიანად დაუბრუნეს დაზარალებულს.

# ხულიგნობა. ჩხუბისა და ტრამვაის კონდუქტორის ნ. ნ. მიქელაძის ცემისათვის შეიპყრეს და პასუხისგებაში მისცეს ა. ა. სააკოვი (ლაზარევის ქ. 58), და გ. გ. ლოსაბერიძე (შაუმიანის ქ. 76).

რადიო-გადაცემა 6 ნოემბრისათვის

11—30 ლიტერატურული გადაცემა სომხურ ენაზე. ლიტმონტაჟი „ოქტომბერი". 16—40 ქართული მუსიკალური ფოლკლორის კონცერტი. 17—30 ქართველი და სომეხი კომპოზიტორების ნაწარმოებთა კონცერტი. 18—20 გადაცემა უმცროს მოწაფეთათვის რუსულად. 18—45 რუსი კომპოზიტორების ნაწარმ. (ჩაიკოვსკი, მუსორგსკი, რიმსკი-კორსაკოვი) კონცერტი 19—20 ლიტერატურული გადაცემა ქართულად. 20—00 ოქტომბრის რევოლუციის 18 წლის თავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის ტრანსლაცია ტფ. საოპერო თეატრიდან.

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

დღეს	7 ნოემბერს	9 ნოემბერი
ტფილისის საბჭოს საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ოქტომბრის რევოლუციის 18 წლის თავისათვის	წარმოდგენა არ იქნება 8 ნოემბერს მე-8 აბონემენტ. მე-3 წარ. ტრუბადური მონაწ ბ ვილაცი. ფ. ტმა მუხტაროვა. დ. ანჯაფარიძე. ჯ. ამირანაშვილი	მე-12 აბონემენტ მე-2 წარ. ევგენი ონეგინი მონაწილეობენ: ე. სოხაძე ე. დოლგოვა ნ. გავეხკი, სანდრო ინაშვილი დამსახ არტისტი

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე ბილეთებისა და აბონემენტების გაყიდვა, აგრეთვე გადასახდელის მიღება სწარმოებს ყოველდღიურად—დღისით 11-დან 2 საათამდე, საღამოს 6-დან 9 საათამდე მიიღება მესამე მორიგი გადასახდელი ყველა აბონემენტზე.

ის აბონენტები, რომლებსაც, არ გადაუხდიათ თავიანთი აბონემენტის მესამე შესატანი, წარმოდგენაზე არ დაიშვები ნ.
შესატანების მიღება და ბილეთების გაყიდვა ყოველდღე დღისით 11—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე

რუსთაველის თეატრი 1935—36 წლის სეზონი

დღეს	8 ნოემბერს	9 ნოემბერს
პედინსტიტუტის მე-19 აბ. 1 წარ. ს. შანშიაშვილის „ანზორ"	სახ. უნივერსიტ. 14 აბ. 1 წარმ. ფ. შილერის in tirannos	მე-4 აბონემენტ. 1 წარ. ფ. შილერის in tirannos

ვისაც მეორე გადასახდელი არ ექნება შემოტანილი, მას წარმოდგენაზე არ შეუშვებენ.
სალარო ღიაა 11—2 6—9 საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი

6 ნოემბერს წარმოდ. № 13	ვერაგობა და სიყვარული
7 ნოემბერს წარმოდგ. № 14	ნინოშვილის გურია
8 ნოემბერს წარმოდგ. № 15	ჩატეხილი ხიდი

დასაწყისი საღ. 8 საათზე
ბილეთები თეატრის სალაროში დღის 11—2 ს. საღ. 6—9 ს.
ბავშვები და მოზარდები 17 წლამდე არ დაიშვებიან

მარჯანიშვილის თეატრი
8 ნოემბერს
დილის წარმოდგენა
ჩატეხილი ხიდი
4 მოქმ. შალვა დადიანის მიერ გასცენიურებული ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა მიხედვით.
დადგმა ვახო ქუშიტაშვილისა.
მხატვარი პეტრე ოცხელი.
მუსიკა შალვა მშველიძისა.
დასაწყისი დღის 12 საათზე
ბილეთები 50 პროც. ფასდაკლებით
სალარო ღიაა დილის 11—2 ს., საღამოს 6—9 ს.

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი
გამოუშვებს აბონემენტებს დღის წარმოდგენებისთვის
საერთო გამოსასვლელ დღეებში
ფასები შეღავათიანია. გადახდა ნაწილ-ნაწილ 5 ვადად, აბონემენტის მიღების დღიდან კოლექტიური განცხადი სკოლებისგან და ინდივიდუალურიც მიიღება ყოველდღე 15 ნოემბრამდე 11-დან 2 ს. საღამოს 6-დან 9 საათამდე.
აბონემენტების გაცემა 16 ნოემბერს.
პირველი წარმოდგენა 24 ნოემბერს

ოქტომბერი 6-30, 8-30. 10-30	ხმოვანი ფილმი „მტრის ბილიკები" პროგრამის გარეშე ხმოვ ჟურნალი „ყაზბეგის იერიში"
დამკვრელი საზ. საზაფხ. 6-30, 8. 9-30	სათავგადასავლო ხმოვანი სურათი „ოქროს ტბა" პროგრამის გარეშე ხმოვანი ჟურნალი „ოდესა"
ტემპი (საზაფ.) ხმოვანი 8-30, 10 30	ახალი ხმოვანი სურათი „მაქსიმის სიყრმე" პროგრამის გერეშე „საბჭოთა საქართველო № 4"
რ. ლიუქსემბურგის სახ. 6-30, 8, 9-30, 11	ხმოვანი ფილმი „უკანასკნელი მასკარადი" პროგრამის გარეშე ხმოვანი ჟურნალი № 25
ეთერი (საზაფხ.) 7-20, 9, 10-30	მხატვ. ფილმი „ბედნიერი კენტი" პროგრ. გარეშე „პროფ. კავშ მე-2 სპარტაკიადა"
„26 -ის კომ. სახ. 7, 8-30, 10	ხმოვანი ფილმი „ჩაპაევი" პროგრამის გარეშე „დაბრუნებული სიცოცხლე"
კომინტერნი საზაფხ. (დიდუბეში). 7-30, 9-30	უკანასკნელი დღე პეტრე ვინოგრადოვის ქუროს ცხოვრება

სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 354 მუხ. თანახმად ორჯონიკიძის რაისახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ნ. ჩარკვიანი ამით აცხადებს, რომ ა/წ 11 ნოემბერს, დღის 2 საათზე ტფილისში. ჭავჭავაძის ქ. 5
საჯარო ვაჭრობით
გაჰყიდის მოქ. გრიგორ კაიშაურის ქონებას: პიანინო, ხუთი ხალი, შიფონერი სარკით, ერთი ნიკელის საწოლი, პირისაბანი, წიგნის შკაფი ბუფეტი და სამი მეტრი საზღვარგარეთული კოვერკოტი ქონება შეფასებულია 8750 მან. და გაიყიდება მოსკოვ პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად თანახმად კიროვის რაისახ. სასამართლოსაგან ა.-წ. 27 ოქტომბერს № 1093 გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა.
11146 სასამართლოს აღმასრულებელი ჩარკვიანი

ღრმად დამწუხრებული დედა ფაცანია, ძმა დიმიტრი, რძალი თამარ კახიძე—ასლანიშვილისა ვაუწყებთ საზოგადოებას, უსაყვარლესი კოლია ალექსანდრეს ძე ასლანიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს ქ. ჯულელში. 11188

ძმა გალაქტიონ ზაქრაძე მეუღლით ვერათი და შვილებით: ეენიათი, ციალათი იუწყებიან პელაგია პეტრეს ასული ზაქრაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 8 ნოემბერს, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ლენინგრადის, 8. 3 ს. 11192

შვილები: რომან შომახია, ელენე ზაქრაძე, რძალი მარიამი, შვილიშვილები: ბარბალე, როზალინა, ოქტიაბრინა, კლარა, მერი იუწყებიან პელაგია ზაქრაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 8 ნოემბერს ლენინგრადის, 8. კუკიის სასაფლაოზე. 11192

ბიძები: ალექსანდრე ენუქიძე, ცოლით ლილით, დათიკო ფესხი ცოლით ვალენტინათი და შვილებით მწუხარებით იუწყებიან საყვარელი პატარა ჯემიკო ნიკურაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში, 7 ნოემბერს. 11190

მშობლები: ალოეზი, თებრონე; ძმები: ვასილი, ვანო, ნიკიფორე, ალექსანდრე ცოლშვილით: დები: მარო, ლიუცია, ზოგუცა იუწყებიან ლევან მესხაძის გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, სამხედრო ჰოსპიტლიდან, 5 ს. დაკრძალვა ს. ქვედა შავრაში. 11194

ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანატი და სტუდენტობა აუწყებს საზოგადოებას, ამავე ფაკულტეტის სტუდენტის კატო დათუაშვილის დის ოლღა დათუაშვილი—მაძალუას უდროოდ გარდაცვალებას. 11193

დედა ტერეზი, ბებია ელისაბედი, ბაბუა, ბიძები: ალფესი, ერმალო, თეოფილე; ბიცოლები: სონია, თამარა ბურჭულაძეები იუწყებიან, რომ 8 ნოემბერს 3 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია გოგუცა სიხარულიძის სამოქალაქო პანაშვიდი. 11176

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მერვე ჯგუფის დიპლომანტები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ჯგუფის სტუდენტ ვანო მაძალუას მეუღლის ოლია დათუაშვილი—მაძალუას გარდაცვალების გამო. 11166

შვილები ბარდლა კორძაია, ნინო გველესიანი, ცაცა უზნაძე, მეგი ჩხეიძე ოჯახობით იუწყებიან საყვარელი დედის ლილოსი მურზაყანის ას. კორძაიას გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 4 ნახევარ საათზე, გუდოვიჩის, 6. 11181

ცოლი მარგო, მშობლები: ოლია, ჩიტო; დები: ნინო, ეენია; სიდედრი, სიმამრი, სიძე იუწყებიან, რომ გრიშა ბოლოკაძის სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია 7 ნოემბერს, 3 საათზე, ხაშურის ძმათა სასაფლაოზე. 11177

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ეფემია, შვილი ბაბილინა, შვილიშვილი ნინა, ძმისშვილები: ტარასი, ნატალია მარშანიები, სიძე კაპიტონ ბოლქვაძე იუწყებიან პავლე ანდრიას-ძე მარშანიას გარდაცვალებას. დასაფლავება 9 ნოემბერს 5 საათზე.

პ. ორჯონიკიძის სახელობის საღამოს მუშათა პოლიტექნიკუმის თანამშრომლები, მასწავლებლები და სტუდენტები თანაგრძნობას უცხადებენ მასწავლებელ დავით დარისპანის-ძე ბახტაძეს საყვარელ პატარა ნელის გარდაცვალების გამო. 11160

მშობლები: სამსონ, ანიჩკა შვილებით: ელენა, ბიკენტი, პოლა, მაგული, ბიძაშვილები: კესარია, ტატიანა, გოგი, სიძეები: შალიკო სამსონი იუწყებიან, რომ 8 ნოემბერს ს. ხევში (გურია) დანიშნულია ალიოშა ანთიძის სამოქ. პანაშვიდი. 11187

სპეციალისტთა ჯგუფი: ჩოჩია, მარინაშვილი, გუგულავა, ჯანპოლადოვა, თოროზომიანი, კიკნაველიძე, იაშვილი, ჯაფარიძე-დაშვილი, კაჭახიძე, გოგიბერიძე, გუმბერიძე, დარსალია გამოსთქვამენ მწუხარებას მათი მასწავლებლის პროფესორ პანტელეიმონ ივანეს-ძე ნაგორნის გარდაცვალების გამო. 11186

ძმა ლადიკო, დები: ანიჩკა, ვერა, ვალია, სიძეები: ანდრო და ვალოდია, რძალი დუსია ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ბაქოხი ყანჩაველის გარდაცვალების გამო. გამოსვენება დღეს, მიხეილის საავადმყოფოდან, 4 საათზე. 11185

დამწუხრებული ქმარი ალექსანდრე, შვილები: ლამარა, ლერი, დედა მარიამი, და ნინო, მამამთილი ლუკა, მულები: თამარ, დომინა იუწყებიან, რომ 8 ნოემბერს სიღნაღში დანიშნულია ოლია ფეოდოროვა—მაისაშვილის სამოქ. პანაშვიდი. 11132

გოგი ცისკარიშვილი ოჯახობით, მარო ცისკარიშვილი შვილი ცისანათი, ვარო შახელი იუწყებიან ნიკოლოზ მიხეილისძე მამიტაშვილის უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 4 ნახევარ საათზე, გამოსვენება რიყის ქ. № 1 კუკიის სასაფლაოზე. 11191

შვილი საშა, ქალიშვილები: მარუსია, ოლია, სიძეები: კაზბეკ ქელეხსაევი, ლექსო გოჩაშვილი, რძალი ლიზიკო შვილით ზამირათი იუწყებიან საყვარელი მამის ნიკოლოზ მიხეილისძე მამიტაშვილის უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს. 11191

სუბტროპიკული ფაკულტეტის მეოთხე კურსის მესამოცე, და სამოცდაპირველი ჯგუფების სტუდენტთა მთლიანი შემადგენლობა გამოთქვამს ღრმა მწუხარებას ამავე ჯგუფის სტუდენტი იასონ ბერაიას ძმის აკაკის უდროოდ გარდაცვალების გამო. 11184

არტელ მკერავთა „გაერთიანების" გამგეობა მწუხარებას გამოსთქვამს თავისი წევრის და დამკვრელი მუშის გიორგი ხუციშვილის უდროოდ გარდაცვალების გამო. გამოსვენება დღეს 4 ს. აკ. წერეთლის ქ. 8, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 11183

შვილები: მარო, სონა, ბიქტორი, შალიკო, პროკოფი, რძალი: ნინა, ნათესავები: ლიდა, ილია ავალიანები მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ ძვირფასი აგრაფინა მექმარიაშვილი—ავალიანის გარდაცვალებას. დაკრძალვა 7 ნოემბერს, ხონში. 11189

ნინა და ვერა ბედია იუწყებიან, რომ დღეს 4 ნახევარ საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი საყვარელ ძმის დიმიტრი გიორგისძე ჩიჩუას ხსოვნის აღსანიშნავად

სტამბა „კომუნისტი" ვაჟის ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ბ 10132